

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

**77-ე**

**სამეცნიერო სესია**

ემღვნება აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას**  
დაბადების 120 წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2018 წლის 25-27 დეკემბერი

თბილისი  
2018

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქოზავას სახელობის  
**ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში** (ინგოროყვას  
ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი  
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

# მუშაობის გეგმა

25 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – **ნ. მაჭავარიანი**

ნ. მაჭავარიანი – შესავალი სიტყვა

თ. ბეროზაშვილი – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (1950-1964 წ.წ.) – მთავარი რედაქტორი აკად. არნ. ჩიქოზავა, მოამაგენი: ვუკოლ ბერიძე, რუსუდან გაგუა, ეგგენი ჯეირანიშვილი

გ. კვარაცხელია – არნოლდ ჩიქოზავა – მეცნიერების სწორუპოვარი მსახური

ა. არაბული – „ლექსიკონი ხალხის პირველ წიგნად თქმულა“ (არნ. ჩიქოზავა)

12 საათი

მ. აბალაკი, ლ. გიორგაძე, ე. საბანაძე, ლ. ხუჭუა – რუსულ-ქართული ერთტომეული ლექსიკონის რედაქციის საკითხები

ნ. არდოტელი – ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში

ნ. ახვლედიანი – რამდენიმე მეტაფორული ტოპონიმისათვის აჭარაში

ა. ბასილაშვილი – ტოპონიმიკური შენიშვნა: დამპალოს (დამპალოს ხევი)

მ. ბუკია – ზანური ლექსიკა ჩვენებურების ქართულში

თ. ბურჭულაძე – ერთი სახის ზმნურ სინტაგმათა რიცხვში შეწყობის ტენდენციისათვის

შ. გაბესკირია – სხვადასხვა ენაში შესული ქართული ბოტანიკური ტერმინის *ჭაკუნტელის* (Beta) ეტიმოლოგიისათვის

ე. გიუნაშვილი – „ირანული ნასესხობების“ კვლევის თანამედროვე საკითხებისათვის ფერეიდნულში

## 26 დეკემბერი, 11 საათი

### თავმჯდომარე – ნ. ჯორბენაძე

გ. გოგოლაშვილი, ხ. ყანდაშვილი – კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მნიშვნელობა კახური დიალექტის ისტორიისათვის

ქ. დათუკიშვილი – ორთოგრაფიული და მორფოლოგიური შეცდომები ქართული ენის ზეპირმეტყველების ნიმუშებში

თ. ვაშაკიძე – ნიკა ბამაღუა – აფხაზი და ქართველი პოეტი

რ. იოსელიანი – ჩოლურული მეტყველების კვალიფიკაციის სპეციფიკა ისტორიული თვალსაზრისით

მ. ლაბარტყავა – ზოგი აბსტრაქტული სახელისა თუ მასდარის მრავლობითი რიცხვის ფორმებისათვის

რ. ლოლუა – ერთი შენიშვნა კავკასიის ალბანური პალიმფსესტების დათარიღებასთან დაკავშირებით

რ. ლოლუა – საგრანტო პროექტი „კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი“

ქ. ი. მარგიანი – წყალთან დაკავშირებული ლექსიკა დალის ხეობის გეოგრაფიულ სახელებში (ახალი კოდორული მასალების მიხედვით)

ქ. გ. მარგიანი – პერფექტულობა-ვეიდენციალობის ურთიერთმიმართება ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით და სვანური ენის მონაცემები

ნ. მაჭავარიანი – *სვლა, სიარული, დენა...* (სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები)

ს. ოშიაძე – გლუტონიური კოდით შეპირობებული ხატოვანება

თ. ტეტელოშვილი – „ვიღაცა“ და „რადაცა“ ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმათა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

## 27 დეკემბერი, 11 საათი

### თავმჯდომარე – გ. შენგელია

- ლ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე – ქართული ტერმინთბანკი
- მ. ღ ლ ო ნ ტ ი – ქართული სიტყვის სემანტიკური დისკურსი (სინონიმურ წყვილთა ფუნქციური დიფერენცირებისათვის)
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა – ქართველურ ენათა ფონემათმესატყვისობებში გამოვლენილი ერთი შემთხვევის ახსნის ცდა
- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – კიდევ ერთხელ სვანური უმლაუტის შესახებ (იძულებითი კომენტარები)
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ზმნური ფორმები, როგორც პოეტური ფაქტი და ინდივიდუალიზმი ქეთევან დოლიძის პოეზიაში
- მ. ჩ უ ხ უ ა – სვანურისებური „რომ“ კავშირის კვალისათვის ლაზურში
- ნ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი – -ო სუფიქსიანი II კავშირებითის პარალელური წარმოების შემთხვევები საშუაალ ქართულში
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ზოგი დიალექტური სიტყვის ისტორიისათვის
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – სიტყვა *მთიების* სემანტიკისათვის
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – *ძეგლ*- ფუძიან ტოპონიმთა სახელდებისათვის
- ა. ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა – ტერმინოლოგიური მუშაობის ამსახველი გამოუქვეყნებელი ოქმები
- ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ბარბარიზმის ერთი სპეციფიკური შემთხვევისათვის თანამედროვე მეტყველებაში



მ ა ი ა ა ბ ა ლ ა კ ი , ლ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ა ძ ე ,  
ე თ ე რ ს ა ბ ა ნ ა ძ ე , ლ ა ლ ი ხ უ ჭ უ ა

## **რუსულ-ქართული ერთტომეული ლექსიკონის რედაქციის საკითხები**

1983 წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი შედგენილია რუსულ-ქართული სამტომეული ლექსიკონის საფუძველზე. სიტყვანის შედგენისას გამოყენებული იყო ოქეგოვის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ორენოვანი ერთტომეული ლექსიკონები (რუსულ-ფრანგული, რუსულ-გერმანული, რუსულ-ინგლისური და სხვ.). საილუსტრაციო მასალაც ძირითადად ოქეგოვის ლექსიკონიდანაა აღებული. სამტომეული ლექსიკონი შეიცავს 64 683 ერთეულს, ხოლო ერთტომეული – 48 807 სიტყვას. სიტყვების შემცირება ერთტომეულ ლექსიკონში მოხდა მოძველებული, კუთხური და სპეციალური ტერმინების ხარჯზე. შემცირებულია აგრეთვე სიტყვა-სტატიების საილუსტრაციო მასალა და გრამატიკული მახასიათებლები, როგორც ეს მოცემულია სხვა ერთტომეულ ლექსიკონებში.

ერთტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეა აკად. ქ. ლომთათიძე, მოადგილე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. კობახიძე, წევრები: ნ. ვაჩნაძე, რ. გაგუა, ლ. კაიშაური, მ. მრევლიშვილი, ნ. საყვარელიძე.

ბატონმა ალექსანდრე კობახიძემ დაგვიტოვა აღნიშნული ლექსიკონის შევსებული და რედაქტირებული ვარიანტი, რომელიც შემდგომ დაამუშავა ქალბატონმა მზია მრევლიშვილმა.

ამჟამად თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში მიმდინარეობს მუშაობა ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე. მუშაობის პროცესში ძირითადად ვეყრდნობით ალექსანდრე კობახიძისა და მზია მრევლიშვილის შენიშვნებსა და განმარტებებს. ახალ ლექსიკონში შეტანილი ცვლილებები ეხება ეროვნებათა აღნიშვნას მრავლობითი რიცხვის ფორმით; შესულია ბევრი ახალი, თანამედროვე ცნების აღმნიშვნელი სიტყვა, მათ შორის ისინიც, რომლებიც ტექნიკის სწრაფმა წინსვლამ და განვითარებამ, ინტერნეტის ეპოქამ მოიტანა მთელ მსოფ-

ლიოში, მაგალითად: банкомат, диктофон, сканер, сканирование, интернет, принтер და სხვ.

გარდა ამისა, ლექსიკონზე მუშაობისას დადგა სხვადასხვა დარგის ტერმინთა განხილვისა და ზოგჯერ – დამატება-შეცვლის საკითხიც. მაგალითად, ცალკე კვლევის საგნად იქცა ლექსიკონში მოცემული მანქანის ნაწილების, საეკლესიო თუ საენათმეცნიერო ტერმინების შესწავლა.

სარედაქციო ჯგუფის წინაშე დგას მრავალი სამსჯელო საკითხი, რომელთა განხილვა მოიაზრება არა მარტო განყოფილების, არამედ, ზოგადად, ინსტიტუტის სხდომებზეც.

## ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი

### **„ლექსიკონი ხალხის პირველ წიგნად თქმულა“ (არნ. ჩიქობავა)**

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ბოლო, მე-8 ტომის წინასიტყვაობაში რვატომეულის მთავარი რედაქტორი და, ამავე დროს, 1-ლი და მე-4 ტომების რედაქტორი, აკად. არნოლდ ჩიქობავა, ვისი თეორიული ხედვითა და ორგანიზაციული ძალისხმევითაც წარმატებით გასრულდა ეს მასშტაბური პროექტი, საბოლოო შეფასებას აძლევს მიღებულ შედეგებს; კერძოდ, იგი წერს:

„ლექსიკონი „ხალხის პირველ წიგნად“ თქმულა (C. Volney) ისევე, როგორც „დედაენა“ ბავშვის პირველ წიგნს წარმოადგენს.

ჩვენ მოგვეპოვებოდა მდიდარი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია; უხერხული იქნებოდა, ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი არა გვექონოდა“.

სალიტერატურო (სახელმწიფო) ენის სრულყოფილი განმარტებითი ლექსიკონის მნიშვნელობის ეს გააზრება, ცხადია, ბევრად უფრო ადრე არის ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ამ სალექსიკონო კორპუსის სამუშაოებს. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართული ეროვნული უნივერსიტეტის განვითა-



რების ისტორია ცხადად გვიჩვენებს იმას, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის იდეა იყო ქვაკუთხედი იმ სტრატეგიისა, რომელიც ქართველოლოგიის ძლიერი სკოლის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტის წიაღში წარმოშობილი ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ინსტიტუტი – ენიმკი თავის პერსპექტიულ გეგმებში განმარტებითი ლექსიკონის სამუშაოებს ითვალისწინებდა და სწორედ აქ დაიწყო შესაბამისი სალექსიკონო ფონდის შექმნა ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით, რომელიც 1936-1941 წლებში ამ ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

1941 წლიდან კი ეს მემკვიდრეობა ენის (ენათმეცნიერების) ინსტიტუტმა გადაიბარა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენის **ერთადერთი წარმატებული კონცეფცია არნოლდ ჩიქობავას ეკუთვნის**. როგორც ისტორია გვიჩვენებს, იმ დროს და შემდგომშიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის შესახებ არსებობდა სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ არა ჩანს, რომ ისინი საბოლოო მწყობრ ხედვად ჩამოყალიბებულიყოს და, მით უფრო, აღნიშნულის მსგავსი მასშტაბური შედეგები მოეცეს.

ჩიქობავასეული კონცეფციის ქვაკუთხედია ქართული ენის აგებულების ზოგადი ხედვა, რომლის ცენტრში დგას ქართული ზმნის ურთულესი სისტემის ოპტიმალური ასახვის ამოცანა განმარტებით ლექსიკონში. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა ქართული ზმნის სისტემის ლექსიკოგრაფიული პრეზენტაციის იმ გასაღების პოვნა, რომელიც **აწმყოს მე-3 პირის ფორმით** იქნა წარმოჩენილი. სწორედ ამ სალექსიკონო ერთეულმა გახადა შესაძლებელი, განმარტებით ლექსიკონში სრულად, სრულყოფილად ასახულიყო ქართული ზმნის რთული სისტემის ურთიერთდაკავშირებული მონაცემები (საბოლოო ჯამში – საშუალოდ ერთი ათეული ფორმა ერთი ზმნური ძირისაგან).

მაგრამ ჩიქობავასეული ლექსიკოგრაფიული კონცეფციის არსი, ცხადია, ამ პრობლემით არ ამოიწურება. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ლექსიკური შემადგენლობის მობილიზებისა და განთავსების, ლექსემათა სათანადო კვალიფიკაციის საკითხს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე. წ. **„სარეზერვო ფონდის“ ცნება**, რომელიც კარგად წარმოაჩენს არნ. ჩიქობავას, რო-

გორც კონცეფციის ავტორის, დამოკიდებულებას დიალექტური, უფრო მეტად კი – დარგობრივი ლექსიკისადმი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მთავარმა რედაქტორმა სალექსიკონო ამოცანების თვალსაზრისით მკვეთრად გამოიჯანა გრამატიკული დიალექტიზმები და კუთხური გავრცელების ლექსიკური ერთეულები. ამ ე. წ. „სარეზერვო ფონდის“ კონცეფციით არნ. ჩიქობავა არსებითად ერთგულებს და მეცნიერულად ასაფუძვლებს სულხან-საბასეულ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციას. ეს მემკვიდრეობითობა კონცეფციის ავტორის თეორიული პოზიციის არგუმენტირების დროსაც ხელშესახებად არის წარმოჩენილი:

„დიალექტიზმები ბრუნება-უღვლილებაში, სინტაქსში, ორთოგრაფიაში უკუსაგდებია... ...როცა დიალექტური ამ სფეროში შემოდის, მან ლიტერატურულის ადგილი უნდა დაიკავოს, **აქ დიალექტური უპირისპირდება ლიტერატურულს.**

ლექსიკაში სხვაგვარი მდგომარეობაა. სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს: მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება. „საჭიროების შემთხვევაში“ რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ საამისო შინაარსის გადმოსაცემი სხვა სიტყვა სამწერლობო ენაში არ გაგვაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს.

**ამრიგად, ლიტერატურაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არალიტერატურულად არ მიიჩნევა.** პირუკუ: ლიტერატურაში რაც გვხვდება, ყველაფერი ლიტერატურული არაა.

საბას თავის ლექსიკონში უხვად შეუტანია ასეთი სიტყვები... ... ისეთი სიტყვები, როგორცაა: *ბარაკული, მოცედი, ბოიკი, ბატკი, კოპანო, კარაკა...* წიგნის მეტყველებაში შეიძლება არ აღმოჩნდეს, მაგრამ ხალხში ცოცხლობდეს. ასეთი სიტყვები **გამოადგება სამწერლობო ენას, თუ დავიცავთ; დააკლდება, თუ დავუპარგავთ.** ასეთი სიტყვები **სამწერლობო ენის ლექსიკის რეზერვია.** ამ რეზერვს ქართული სამწერლობო ენა იყენებს დღესაც (თუმცა არც ისე სრულად, როგორც საჭიროა).“

მეორე მხრივ, დარგობრივი ლექსიკური სიმდიდრისადმი ეს დამოკიდებულება აისახება ჩიქობავასეულ კვალიფიკაციათა სისტე-

მაში, რომლის მიხედვითაც სტილისტიკური კვალიფიკაციები შეეხება მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობას, ხოლო ცოცხალი ლექსიკური საგანმძღვრე შემოდის წარმომავლობითი კვალიფიკაციებით: კუთხ., ძვ., დარგ. და მისთ. სწორედ „კუთხური“ კვალიფიკაციის შესახებ შენიშნავს წინასიტყვაობის ავტორი: „ზემოთქმულმა გასაგები უნდა გახადოს, როგორ მოხდა, რომ სალიტერატურო ენის ლექსიკონში არც თუ იშვიათია ისეთი სიტყვა, რომელსაც უწერია „კუთხ.“ (ე. ი. კუთხური). ეს მეტ წილ შემთხვევაში ლილვი და კარჭაპის რიგის მასალაა და, მაშასადამე, ლექსიკური სარეზერვო ფონდისად ნავარაუდევია. „კუთხური“ აქ უკანონოს, დამახინჯებულს, უკუსაგდებს არ ნიშნავს.“

აღსანიშნავია, რომ „კუთხ.“ კვალიფიკაციის ნიშნით ქეგლის ლექსიკურ ფონდში აისახა ქართული ენის არსებითად ყველა დიალექტის მასალა, რომელიც კი იმ დროისათვის ამ მხრივ დამუშავებული იყო (ხელშესახებადაა წარმოჩენილი ისეთი პერიფერიული დიალექტების ლექსიკური სიმდიდრე, როგორებიცაა, მაგ., თუშური, მესხური, ქიზიყური, ინგილოური...); მათ შორის არის ქართველური ენების დარგობრივი ლექსიკა, რაც უკვე გამოჩნდა სულხან-საბასეული ზემომითითებული მონაცემების დამოწმებაში. სწორედ ამისი დასტურია „კუთხ.“ კვალიფიკაციათა კლასში, სხვა მითითებათა რიგში, „სვან.“ და „მეგრ.“ შემოკლებათა არსებობა (რისი უგულვებელყოფაც, ცხადია, მხოლოდ არცოდნას ვერ მიეწერება).

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეკომენდების გასრულება შეფასდა როგორც ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება ქართველოლოგიურ კვლევათა სივრცეში, როგორც „სამაყო მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის შექმნის აუცილებლობა ასევე იყო თეორიულად მომზადებული, როგორც ქართული ენის და საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის განვითარების სრულიად ახალი ვითარებისა და პირობების აქტუალური გამოწვევა. არსებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფონზე ამ აზრის დასაბუთებას საკმაოდ დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. თვით „ახალი რედაქციის“ ცნებაც არ ყოფილა ერთგვაროვნად გაგებულნი და მიღებული.

ახალმა რედაქციამ განავითარა ის პრინციპები, რაც რვატომეულში იყო რეალიზებული, ზოგ შემთხვევაში კი უფრო თანამიმდევრული გახადა ისინი. ასევე შემდგომი განვითარება ჰპოვა „კუთხური“ კვალიფიკაციის ლექსიკის მნიშვნელობის გაგებამ თანამედროვე განმარტებით ლექსიკონში, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობისა და დიალექტების შესწავლის მხრივ მოგვეპოვება. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღების საგანია აგრეთვე ქართველური ენების მონაცემები, რომელთა საერთოეროვნულ სიმდიდრედ აღიარებას სახელმწიფო ენის კანონის დონეზე გაცემის ხაზი.

ის პოზიცია, რომელიც ქეგლის ახალი რედაქციის დონეზე „სარეზერვო ფონდის“ მეტ გააქტიურებას გულისხმობს, თვით აღნიშნული მე-8 ტომის წინასიტყვაობის მითითებით არის პირობადებული: „განმარტებითი ლექსიკონი (113 000-მდე სიტყვა) **არ ამოწურავს** ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს.

სრულს ლექსიკონში შევიდოდა ნაწარმოები ფუძეებიცა და დარგობრივი ტერმინებიც უფრო შეუზღუდავად, ვინემ აქა გვაქვს, აგრეთვე ზეპირი, დიალექტური ლექსიკის ისეთი მასალა, რაც სალიტერატურო ენის სარეზერვო ფონდისთვისაა გამოსადეგი“.

მე-8 ტომის წინასიტყვაობაში აკად. არნ. ჩიქობავა სალექსიკონო „პერიპეტივების“ ერთ ისეთ მხარეზეც ამახვილებს ყურადღებას, რისი გამეორებაც დღეს, სამწუხაროდ, შეუძლებელია: „რვატომეული ქართული განმარტებითი ლექსიკონის დამუშავებასა და გამოცემას თითქმის ოცი წელი მოუწია. სამუშაოს შესრულება დიდ ხელისშეწყობას საჭიროებდა, და ეს ხელის-შეწყობა გვექონდა“ (ხაზგასმა ჩვენია. ა. ა.).

## ნოდარ არდოტელი

### ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მეტყველ დადესტნელ ხალხთა აღსანიშნავად უპირატესად ორი სახის ეთნონიმი გაირჩევა: ა) ენდოეთნონიმები და ბ) ტოპონიმური ეთნონიმები.

ა) ენდოეთნონიმებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი დადესტნელი ხალხის აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება „**ხუნძი**“. ცნობილია, რომ მისი არქაული ფონეტიკური ვარიანტი შემონახულია **ხუნდ** (შდრ. ხუნდერილ მაწო „ხუნძური ენა“) ფუძეში, ხოლო ქართულში დაცულია ტრანსფორმაციის მეორე საფეხური **ხუნძი** (< **ხუნძი**) (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე). საბოლოოდ ამ ეთნონიმის ფონეტიკურ გარდაქმნათა პროცესი ასე წარმოიდგინება: **ხუნდ** > \***ხუნძი** > **ხუნძი**. თანამედროვე ქართულში გავრცელებული და დამკვიდრებულია „**ხუნძი**“, რომელიც მართებულია და ასევე უნდა იწერებოდეს. რაც შეეხება „**ხუნძის**“ სინონიმ „**აგარ**“-ს, მისი გამოყენებისას უპირატესობით უნდა სარგებლობდეს ტოპონიმური წარმოების სახელი – „**აგარელი**“. ანალოგიური ენდოეთნონიმებია: **კამალ**-ი, **ზაგვალ**-ი, **დიდო** // **ცეზი** და მისთ.

ბ) ტოპონიმური ეთნონიმები სათანადო ხუნძური ოიკონიმებიდან არის ნაწარმოები: **ანდი** – **ანდი-ელ-ი**, **ბოთლიხი** – **ბოთლიხ-ელ-ი**, **ლოდობერი** – **ლოდობერი-ელ-ი**, **ხვარში** – **ხვარში-ელ-ი**, **ზეციტა** (< ქართ. **ზეციტა** < ხუნძ. **ზეცტა**) – **ზეციტ-ელ-ი** და ა. შ.

2. ქართულში ტრანსლიტერაციისას ეთნონიმებში თავჩენილი ხუნძური ენის ფონოლოგიური სისტემისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური თანხმოვნები ქართულში შემდეგნაირად რეალიზდება: **ხ** – **ხ**, **კ** – **კ**, **ქ** – **ხ**, **ლ** > **თლ**, **ჭ** – **0**. ბუნებრივია, გადმოქართულებისას მეტი ყურადღება ექცევა თითოეული ეთნონიმის მართლწერას, თუმცა მეტ-ნაკლები ანგარიში ტერმინის ისტორიასა და გამოყენების ტრადიციასაც ეწევა.

## ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### რამდენიმე მეტაფორული ტოპონიმისათვის აჭარაში

ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში მოცემული ესა თუ ის ლექსემა ორგვარია: 1) ლექსემათა დიდ ნაწილს შეუწარმუნებია თავდაპირველი მნიშვნელობა და 2) საუკუნეთა მანძილზე მეტაფორიზაციის შედეგად სიტყვას ერთგვარად (ან სრულებით) ახალი ლექსიკური დანიშნულება მიუღია. მაგალითად, ამგვარ ტოპონიმთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია გარეგნული მიმსგავსების, ანუ მეტაფორიზაციის საფუძველზე. მიმსგავსებისათვის გამოყენებულია სხვა სემანტიკური ჯგუფის საგანი, კონკრეტული ობიექტის ასოციაცია, რაც იწვევს გარკვეული სახის წარმოდგენა-მიმსგავსებას, ენობრივ შეფასებასა და ობიექტისათვის სათანადო სახელის დარქმევას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ტოპონიმს, ესენია: **დუდი** – სახნავ-სათესი ადგილი (სოფელი ბარათაული, შუახევის რაიონი); **თავეკუდიანის მთა** – მთა ზღვის დონიდან 600 მეტრზე ბათუმთან ახლოს; **ნაჩამურები** – სახნავ-სათესი ადგილი (სოფელი ოლადაური, შუახევის რაიონი); **სასირეყელი** – სერი (მახინჯაურის ჩრდილოეთით, ბათუმთან ახლოს).

## ა მ ი რ ა ნ ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

### ტოპონიმიკური შენიშვნა: დამპალო (დამპალოს ხევი)\*

დამპალოს დასახლება, თბილისის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს სამგორის რაიონში. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამ ადგილს ბოინისხევს და სასაკლავოს ხევსაც უწოდებდნენ, რადგან აქ პირუტყვის სასაკლაოები იყო მოწყობილი. ტოპონიმის ეტიმოლოგიაც მარტივად არის ახსნილი: არსებული ანტისა-

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (№217438).

ნიტარიის გამო ამ მიდამოებში მძაფრი სუნი იდგა და აქედან წარმო-  
დგა სახელწოდებაც (თ. კვირკველია). ასეთი ახსნა რეალობას არ უნ-  
და ასახავდეს.

ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა **დამპალა** უნდა ყოფილი-  
ყო. ამ სახელწოდების რამდენიმე ტოპონიმია დადასტურებული სა-  
ქართველოს ტერიტორიაზე. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით,  
„იორის პირს ყოფილა სასახლე, და მ პ ა ლ ა ს, აწინდელთა კახთა  
მეპატრონეთა, საზამთროთ ნადირობისათვის, არჩილ მეფისამდე,  
კეთილს ადგილს, შვენიერს, წყაროიანსა. ხოლო დამპალას აღმოსავ-  
ლით-ჩდილოთ არს, ჰერეთის მთის ძირს, მანავი...“. ვახუშტის მონა-  
ცემებზე დაყრდნობით, დამპალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში  
ლოკალიზდება, მაგრამ მდებარეობის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერ-  
ხდება („ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“).  
არ არის გამორიცხული, ვახუშტის *დამპალას* და თბილისის *დამპა-  
ლოს* შორის კავშირი არსებობდეს. თანამედროვე *დამპალო*, როგორც  
ტოპონიმი, იქნებ, ერთ მცირე მონაკვეთსა შეემორჩა, სახეცვლილი  
ფორმით. *დამპალა* ვრცელი ტერიტორია უნდა ყოფილიყო, რომე-  
ლიც, შესაძლოა, იგრის სანაპიროებიდან (მიმდებარე ადგილები)  
იწყებოდა, გრძელდებოდა დასავლეთით და მოიცავდა თანამედრო-  
ვე თბილისის გარეუბნებსაც. თუკი ეს ასეა, გამოდის, რომ **დამპა-  
ლო/დამპალა** სახელწოდების წარმომავლობა ცხოველთა სასაკლავოს,  
ე. წ. ბოინს ვერ დაუკავშირდება და მისი ეტიმოლოგია სხვაგან არის  
საძიებელი.

იმავე სახელწოდების ტოპონიმი დადასტურებულია ქართლ-  
ში. კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზიანს 1945 წლა-  
მდე *დამპალო* ჰქმევია. ისტორიულ სამუხრანბატონოში შემავალი  
*დამპალო*, რომელიც წილკნის ეპარქიის სარგო ყოფილა, ვახუშტის-  
თან „დამპალეთად“ არის მოხსენიებული. ჯ. გვასალიას აზრით,  
სოფლის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს სოფელში სარწყავი  
არხების მოშლის გამო წარმოქმნილი ჭაობიანი დამპალი მიწების არ-  
სებობას. ვფიქრობ, სახელდების იმავე მოტივაციასთან გვაქვს საქმე  
თბილისის *დამპალოს* შემთხვევაშიც. *დამპალოს* მიდამოები რომ  
უხვეწელიანი უნდა ყოფილიყო, ეს ვახუშტის თხზულებიდანაც ჩანს.  
**დამპალო/დამპალა** რომ ნამდვილად წყალთან არის დაკავშირებუ-  
ლი, კარგად ჩანს მის გვერდით მდებარე ადგილის **ვერკეთილი/ვერ-  
კეთილა**-ს (თანამედროვე ვერკეთილი) სახელწოდებიდან. ვერ-კე-

თილი (ვერე – ჰიდრონიმული ტერმინი) სწორედ მის სამხრეთით მდებარე ჭაობიანი მიწების („დამპალას“) საპირისპიროდ წარმოქმნილი ტოპონიმი (უ. სახლთხუციშვილი). ზედსართავი სახელი *დამპალი* (წყალი), ქეგლის მიხედვით, დამყაყებული, აშორებული წყლის სინონიმი. სწორედ ასეთი წყლების არსებობა უნდა ედოს საფუძვლად თბილისის *დამპალოს* სახელწოდებას. სახელდების იგივე მოტივაცია უნდა ჩანდეს ტოპონიმებში: *დამპალეთი*-ი (დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე სოფელი – გორის მუნიცი.) და *დამპალწნეხე* (მთა სოფ. ჩირიკში – დუშეთის მუნიცი.).

## მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

### ზანური ლექსიკა ჩვენებურების ქართულში

ჩვენებურების ქართულში გამოიყოფა ლექსიკის ნაწილი, რომელიც ზანურიდან არის შეთვისებული. ეს ბუნებრივია, რადგანაც გარდა გეოგრაფიული მეზობლობისა, ტოპონიმების ცალკეულ რეგიონებში ლაზები (resp. კოლხები) კომპაქტურად იყვნენ დასახლებული.

**ბაჯგი** (ლაზ.) ხის ორკაპიანი ტოტი, **ბაჯგი / ბარჯგი** (მეგრ.) სარი, ბოძი, ბურჯი. ვვარაუდობთ, რომ მაჭახლელი მუჰაჯირების მეტყველებაში გავრცელებული **ბაჯგი** „იგივეა, რაც ბიჯგი, საყრდენი ბოძი, სამაგრი“ ზანიზმია.

**ბოგა** (ლაზ.) „ბაკი“, „თხის ბოსელი, ახორი“; **ბოგა ხინჯი** (ლაზ.) „ხის ხიდი (პატარა ხიდი), ბოგირი“; **ბოგა** (მეგრ.) „ბოგა, ბოგირი; ბაგა; ბოსლის იატაკი; ბოსელი, ხის იატაკიანი სადგომი პირუტყვისათვის“. ჩვენებურების ქართულში **ბოგა** „საზაფხულო სადგომებზე მარტივად გაკეთებული თარო“, „საქონლის სადგომი სქელი ფიცრებით დაგებული იატაკი“ ზანური ნასესხობაა.

**გენჭარერი / გეჭარელი / გეჭაელი** (ლაზ.) „ფული, თანხა“. ჩვენებურების ქართულში თანხის, ფულის მნიშვნელობის გამომხატველი ერთ-ერთი სიტყვაა **ნაჭარი / ნაჭერი**, რომელიც ლაზურიდანაა ნასესხები.



**ორინჯი** (მეგრ.) „საქონელი“ უკავშირდება ზანურ **რინა / ორინუ** „ცხოვრება, არსებობა“ ზმნის ფუძეს. ჩვენებურების ქართულში გვხვდება **ერინჯი** „დეკუელი“, რაც ზანიზმად განიხილება.

**ნერჩი** (ზან.) „ფუძე, ძირი“. იგივე სიტყვა გვაქვს ჩვენებურების ქართულში ჭურჭლის ფსკერის, ძირის მნიშვნელობით – **ნერჩი**.

**ოდოში** (ზან.) „უმწიფარი; მწიფობაში ჩამდგარი (შესული), „ადრე შემოსული, ჭყინტი“. სავარაუდოდ, ამოსავალი ფორმაა \***ო-რდ-ოშ-ი** „ნაადრევი“ (შდრ. ლაზ. **ორდონალი** // **ორდონარი** „ადრეული“, კლარჯულში **ოდოში** ჭყინტი სიმინდია.

**ოდრიკალი** (მეგრ.) „ორივე ბოლოთი დამაგრებული მოხრილი წვეკლა ან სხვა რამ რკალის ფორმისა, იყენებენ უღლად“. იგივე ფორმა იმავე მნიშვნელობით გვხვდება ჩვენებურების ქართულში: **ორდიკალი** „რკალი; მოღუნული წვეკლა, ორივე მხრით მიწაში ჩარჭობილი“.

**ჭვირთი** (მეგრ.) „ტვირთი“, **დოჭვირთილი** „დატვირთული“, **დოჭვირთვა** „დატვირთვა“. ზანიზმად განვიხილავთ კლარჯულ მეტყველებაში წარმოდგენილ შემდეგ ფორმებს: **ჭვირთი** „ტვირთი“, **ჭვირთული** „დატვირთული“, **მოჭვირთვა** „მოტვირთვა, დატვირთვა“, **საჭვირთე** „სატვირთო“.

**ჭოლო** (ლაზ.) „ჭყინტი სიმინდია“; **ჭოლო** (მეგრ.) „ქორფა“. იმავე სემანტიკით გვხვდება ეს ფორმა ჩვენებურების ქართულში: **ჭოლო** „ჭყინტი სიმინდი“, რასაც ზანურის კვალად ვთვლით.

**ჯანგარა** (მეგრ.) „მური, ჭურჭელზე გარედან მოკიდებული მჭვარტილი“, **ჯანგერი** (ლაზ.) „დაჟანგული“. ზანური სიტყვა ქართული „ჟანგის“, „ჟანგიანის“ ეკვივალენტია. ჩვენებურების ქართულში წარმოდგენილი **ჯანგარა** „შავი, შავტუხა, გამჭვარტლული“ ზანიზმია.

**ჯარგვალი** (ზან.) „ქოხი, ძელური“. ზანიზმად განვიხილავთ **ჯარგვალი** „მორებით აშენებული სახლი, ქოხი“, „ძელური, ძელებით ნაშენი“ ფორმას მაჭახლელ მუჰაჯირთა და კლარჯულ მეტყველებაში.

**ჯიმადი / ჯუმადი** (ზან.) „ბიძა“ გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მატარებელია და „დედის ძმას“ ნიშნავს. ზანიზმია ჩვენებურების ქართულში გავრცელებული **ჯუმადია-ი** „მამიდის ან დეიდის ქმა-რი“.

## ერთი სახის ზმნურ სინტაგმათა რიცხვში შეწყობის ტენდენციისათვის

ფორმაცვალებად სიტყვებს შორის სინტაქსური კავშირი დასტურდება სახელურ და ზმნურ სინტაგმებში. ამათგან ზმნურ შესიტყვებებში გამოიყოფა 1. ზმნა და სახელი; 2. ზმნა და ე. წ. უდეტრები (ზმნისართი ან ნაწილაკი). საინტერესოა მრავლობითში დასმულ სუბიექტ-ობიექტთან ზმნის შეთანხმების ზოგადი პრინციპები. სამეცნიერო ლიტერატურაში სახელისა და ზმნის რიცხვში შეწყობის ძირითადი წესები მეტ-ნაკლებად გარკვეულია – ყურადღება ექცევა იმას, სახელი სულიერია თუ უსულო, კრებითი სახელითაა წარმოდგენილი თუ კომპოზიტით.

არაერთგვაროვნებაა **-ებ**-იან მრავლობითში წარმოდგენილი უსულო სახელების ზმნასთან რიცხვში შეწყობისას. ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ასეთ შემთხვევებში ზმნა მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი (ხეები დგას, სახლები შენდება...). თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მრავლობითობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი წინაპირობაა მოძრაობის ან აქტიური, ენერგიული მოქმედების სემანტიკა“ (აფრიდონიძე). ამასთან, გასათვალისწინებელია სახელთა სტატიკურობისა და დინამიკურობის, მდგომარეობისა თუ ყოფნა-არსებობის სემანტიკა.

დღეს მასმედიასა თუ ზეპირ და წერით მეტყველებაში განსაკუთრებით გახშირდა **-ებ**-იან უსულო სახელებთან ზმნის მრავლობით რიცხვში შეწყობის ტენდენცია: „ქართული ისტორიული **წყაროები მოწმობენ**, რომ ანდრია პირველწოდებულმა ხევში იქადაგა ქრისტიანობა პირველ საუკუნეში“, „ამ ფაქტს საარქივო **მასალები ადასტურებენ**“, „ციხის გალავნის წვეტიანი ზღუდე თეთრ ღრუბლებში იძირება და მხოლოდ მაღალი **კოშკები მოჩანან** შავად“; „ჩემი აზროვნება ისე მოეწყო, როგორც **პლანეტები მოძრაობენ** მზის გარშემო“; „**მოძრაობენ** სხვა ციური **სხეულები** და მათ შორის დედამიწაც“; „**რგოლები იშლებიან** მილიონ დიდ რგოლებად და ქრებიან“; „**გამონაკლისები** მხოლოდ **ადასტურებენ** წესებს“; „მიწისქვეშა **წყლები** თვითდინებით **მოედინებიან**“; „ადიდებული **მდინარეები** ბუნებრივ

დაბრკოლებას **წარმოადგენენ** მტრისათვის“; „ჯავახეთის **სოფლები** მიწის ზევით **მოჩანან**“. ვფიქრობთ, ზეპირ თუ წერით მეტყველებაში გავრცელებული ეს ფორმები სტატიკურიდან დინამიკურ ბუნებაზე გადავიდნენ, დროთა განმავლობაში შეიძინეს მოძრაობა-მოქმედების სემანტიკა და სწორედ ამიტომ ითანხმებენ მრავლობითში ზმნა-შემასმენელს.

სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით იკვეთება სპეციალური ტერმინების ზმნა-შემასმენელთან მრავლობით რიცხვში შეწყობის ტენდენცია: „მართალია, პირთა **კომბინაციები** გამოხატულების პლანით **ემთხვევიან** ერთიმეორეს, მაგრამ როგორც გრამატიკული ფორმები, ისინი განსხვავებულია“; „მეტად ღირებულია სტატისტიკური **მონაცემები**, რომლებიც ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას **გვაწვდიან**“; „მოხმობილი **ტერმინები** ზუსტად ვერ **ასახავენ** სინამდვილეს“; „**მორფემები**, რომლებიც უშუალოდ **მიერთვიან** მარტივ ფუძეს“...

სამეცნიერო ლიტერატურაში უსულო სახელისა და ზმნა-შემასმენლის მრავლობით რიცხვში შეთანხმების ტენდენცია იმითაა გამოწვეული, რომ ისინი აქტიური სემანტიკის არიან. გარდა ამისა, ეს სახელები ხშირად გამოიყენება, როგორც ტერმინები და ამიტომ ისე შეიწყობენ მრავლობით რიცხვში ზმნებს, როგორც სათანადო სულიერი სახელები. უფრო მეტიც, ზემოთ დასახელებულ ყველა ზმნურ შესიტყვებათა მრავლობითობა უკვე მყარ ტენდენციად იქცა. ამიტომ ასეთ სინტაგმებში უსულო სახელების ზმნასთან რიცხვში შეთანხმების შესახებ დადგენილი ნორმა ყოველთვის ვერ მოქმედებს.

## შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

### **სხვადასხვა ენაში შესული ქართული ბოტანიკური ტერმინის ჭაკუნტელის (Beta) ეტიმოლოგიისათვის**

ძველ ქართულ ტექსტებში ჭარხლის ერთ-ერთი კულტურული ნაირსახეობის მნიშვნელობით დადასტურებული სიტყვა **ჭაკუნ-**

**ტელი**, რომელიც გურულ დიალექტში „წითელ მხალს“ ნიშნავს, სპარსულ ნასესხოზადაა მიჩნეული (ივ. ჯავახიშვილი); ირანული წარმომავლობის მცენარის ეს სახელწოდება ქართულ ენაში უშუალოდ სომხური ენიდანაა შესული (რ. აჭარბანი).

მოხსენებაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ **ჭაკუნტელი** ქართული კომპოზიცია, რომელიც **ჭაკუნ**-ისა („ჭარხალი“) და **დეღ**-ისგან („მხალი“) არის შედგენილი. \***ჭაკუნდეღისგანაა** მიღებული **ჭაკუნტელი**. განსახილველი ტერმინის არქეფორმასთან განსაკუთრებით ახლოს დგას სომხური **ჭაკუნდეღ** „ჭარხალი“, რომელშიც შედგენილი სიტყვის პირველ წევრში **უ** ხმოვნის რედუქციას, ხოლო მეორე კომპონენტი **დეღ** გვიანსომხურისთვის დამახასიათებელი **ღ**-ს **დ**-ში გადასვლითაა წარმოებული. აღსანიშნავია, რომ სომხურში **ჭაკუნ** დამოუკიდებლადაც ჭარხალს ნიშნავს.

გასაანალიზებელი ლექსიკური ერთეული პოვნიერია რამდენიმე ირანულ ენაში, როგორებიცაა: სპარსული, ავღანური, ქურთული. იგი **ჩუღუნდარ** ფორმითა და „ჭარხლის“ მნიშვნელობითაა დამკვიდრებული სპარსულ ენაში.

განსახილველი სიტყვა ირანული ენებიდან შეითვისა არაერთმა თურქულმა ენამ, მათ შორისაა თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული ენები, რომლებშიც იგი უპირატესად თურქული ენებისთვის დამახასიათებელი ხმოვანთპარმონის შედეგად მიღებული **ჩუღუნდურის** სახითაა წარმოდგენილი.

ზემოხსენებულ მეცნიერთა ნაშრომებში ჩამოთვლილ ენათა რიგს უნდა დაემატოს ასევე არაბული სალიტერატურო ენა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ბოტანიკური ტერმინი „ჭარხლის“ მნიშვნელობითა და **შაგანდარ** // **შამანდარ** ფორმებითაა დამოწმებული.

ე ლ ე ნ ე გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი

## **„ირანული ნასესხოზების“ კვლევის თანამედროვე საკითხებისათვის ფერეიდნულში**

ფერეიდანი და მისი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იქცევს ქართული საზოგადოების ყურადღებას. რო-

გორც ცნობილია, ოთხ საუკუნეზე მეტია, რაც ბედუკულმართობამ ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ირანში გადაისროლა.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას – ქართლის, კახეთისა და დღევანდელი საინგილოს ტერიტორიიდან 130 000-ზე მეტი ადამიანი აყარა და ირანის გზას გაუყენა. ტყვეები ირანის სხვადასხვა კუთხეში ჩასახლეს. ასეთად ასახელებენ ხორასნის, მაზანდარანის, ირანის, აზერბაიჯანის, ქურთისტანის, ლორესტანის და სხვა ტერიტორიებს.

ფერეიდნული კილო უნიკალურია სხვა ქართველურ კილოებს შორის, რადგან მოწყვეტილია მშობლიურ გარემოს, მონათესავე კოლოებს, სალიტერატურო ენას და მაინც განაგრძობს არსებობას. ფერეიდნულის მიხედვით შესაძლებელია „გავითვალისწინოთ, თუ რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება, უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტური ყოფის ტენდენციები და როგორ მოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო“ (არნ. ჩიქობავა).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფერეიდნული კილოს ზმნურმა სისტემამ (ქართული ენის მთის კილოების მსგავსად) შემოინახა არქაიზმები (5 თავისებურება), რომლებიც განვითარების წინა პერიოდში მთელს ენაში იყო გავრცელებული, ხოლო არქაული და მათ პარალელურად არსებული თანამედროვე ფორმები ფერეიდნულმა კილოკავმა ადგილგადანაცვლების დროსვე, ე. ი. მეჩვიდმეტე საუკუნეში, გაიყოლა თან საქართველოდან. რაც შეეხება მარტივ სახელებსა და კომპოზიტებს, ტოპონიმებს, შედგენილი ზმნების ფორმებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, საკუთრივ ქართული მასალის გვერდით მკვეთრად არის შესამჩნევი სპარსული ენისა და სხვა უცხო ენების (არაბული, თურქული, ევროპული) ელემენტები. მთელი ეს მასალა, რომელსაც პირობითად ირანიზმებს ვუწოდებთ, არსებითად ექვემდებარება ქართული ენის გრამატიკის ნორმებს.

დღეისათვის არსებული ტექსტობრივი მასალის მიხედვით შესაძლებელია ირანული (სპარსული, სპარსულ-არაბული) ლექსიკის სისტემური შესწავლა და მისი, როგორც საკუთრივ ფერეიდნუ-

ლისათვის დამახასიათებელი შეთვისების დინამიზმის მორფო-ფონოლოგიური ადაპტაციების, გრამატიკული გაფორმების, სემანტიკური ცვლილებების სრული გამოვლენა.

მოხსენებაში წარმოდგენილია ფერეიდულში სპარსულიდან ნასესხები ლექსიკის პირველი სისტემური ლექსიკონის აღწერა, სპარსული ლექსიკის დისტრიბუციული ანალიზით. აი, რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუში ლექსიკონიდან:

ა

**ააშეყ-ი** – შეყვარებული (< არაბ. – სპ. **ašeq** + ქართ. **-i** – „ერთმანეთის **ააშეყები** ვიყნევით“), იკე 34, 267.

**აბადა** – არასოდეს, არავითარ შემთხვევაში (< არაბ.-სპ. **abadā**; „სამი შენ და ერთი მეო, აბადაო“), იკე 34, 267.

**აბადი** – სოფელი, დასახლებული ადგილი (< სპ. **abadi**), ეტ. 112.

**აბანდეა** – ყურძნის ჭაგნის ასხმა (< სპ. **band kardan** – მობმა, დაბმა), იკე 23, 215.

**აბახშა** – აჩუქა (< სპ. **bakhš-idan** – ჩუქება, პატიება; ქართ. **a-** + სპ. ზმ. აწმყოს ფუძე **bakhš** + **-a**), ეტ. 112.

**ავღათალხოზა** – გულისწყრომა, უსიამოვნება (< არაბ.-სპ. **ouqāttalxi** - اوقات تلخی: **ouqāt** – გუნება, განწყობილება, **talx** – მწარე, სამწუხარო / **talxi** – სიმწარე, გალიზიანება + ქართ **-oba**), იკე 34, 267; ჩხ., 285.

**აზად-ი** – თავისუფალი (< სპ. **azād** - آزد + ქართ. **-i** – „ჩემი ჯაანი **აზადი** ქენო“), იკე 34, 267; ჩხ., 285.

**აზადროზა** – მგლოვიარობა (< არაბ.-სპ. **'azādāri** - عزاداری – მგლოვიარობა: **'azā** – عز – გლოვა + **daštan** - داشتن ზმნის – (ქონა, ყოლა) აწმყ. ფუძე **-dār** – **azādār** – მგლოვიარე + ქართ. **-oba**), ეტ. 112.

**აზაფა** – მიმატება, დამატება, ზედმეტი (< არაბ.-სპ. **ezāfe** --اضاف; „იმინთინაც ელა **აზაფა** გოქ“), იკე 34, 267; ჩხ., 285.

**აზმაიშგა** – ლაბორატორია (< სპ. **azmayešgāh** - آزمایشگاه: **azmayeš** آزمایش – შემოწმება, გამოცდა, **-gāh** - گاه – დრო, ჟამი, მაგრამ

რთული სახელის მეორე კომპონენტად გამოყენების დროს მიანიშნებს ადგილზე: მაგ. **xāb** - خواب – ძილი, **xābgāh** - خوابگاه – საწოლი ოთახი, **azmāyegāh** – შემოწმების ადგილი, ლაბორატორია),

**ამმა** – მაგრამ (< არაბ.-სპ. **amma** -أما), დიალექტ. 627.

**ამმა** – მამიდა (< არაბ.-სპ. **'amme** عمه, „ქენ დადმახით **მამიდა**, ჩონ დავმახით **ამმა**“), იკე 23, 215.

**ამმას ქმარი** – მამიდის ქმარი (< არაბ.-სპ. **šouhare 'amme** - شوهر عمه), იკე, 23, 215.

**ამუ/ამუა** – ბიძა (მამის მხრიდან) (< არაბ.-სპ. **'amu** -عمو. რეპატრირებული მთქმელი განმარტავს: ბიძა მყავ, **ამუა** ჩონ **ამუას** დავმახოდით), იკე 23, 196, 24; იკე 34, 267.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი,  
ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

## **კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მნიშვნელობა კახური დიალექტის ისტორიისათვის**

1812 წელს კახეთში მომხდარი აჯანყების შესწავლის მიზნით, აჯანყების ჩახშობის პარალელურად, იმჟამინდელმა მთავარმმართველმა მარკიზ პაულუჩმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლა დაავალა. ადგილობრივმა ხელისუფლებმა მთავარმმართველს მოკლე დროში 30-მდე მოხსენება მიართვეს. რუსეთის იმპერატორის განკარგულებით იმავე წელს მარკიზ პაულუჩი ნიკოლოზ რტიშჩევმა შეცვალა, რომელმაც პირველივე ბრძანებით გააუქმა აჯანყების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი კომისია და შეგროვილი მასალები რუსეთში გადაიგზავნა. ეს მასალები ამჟამად ინახება მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში. ისტორიკოსმა შოთა ხანთაძემ 1951 წელს გადმოწერა და სურდა, 1961 წელს გამოეცა ეს

„დოკუმენტები“; აიწყო კიდევაც სტამბაში, მაგრამ ცენზურამ აკრძალა; ანაწყოები განადგურდა... ბედად, გადარჩენილი ერთი საკორექტურო ცალი იქნა შემონახული; მის საფუძველზე 1999 წელს ისტორიკოს დურმიშხან ცინცაძის მცდელობით მოხერხდა „დოკუმენტების“ გამოცემა.

„დოკუმენტების“ ტექსტი არის ორი საუკუნის წინანდელი ჩანაწერები კახეთის მთელი რეგიონის მასშტაბით (ქიზიყი, შიგნიკახეთი, გარეკახეთი). მთხრობელები არიან კახელი გლეხები; ტექსტებს ძირითადად სასულიერო პირები იწერდნენ. ჩამწერთა „წიგნიერება“ გარკვეულწილად გავლენას ახდენს ტექსტის ენობრივ სურათზე (აშკარა არქაიზმები, ანტონის სამწიგნობრო სკოლის გავლენა...)... ტექსტის ლინგვისტური ანალიზისას ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე მომენტს:

1. გამოცემული „დოკუმენტების“ ტექსტის ისტორიის გათვალისწინებით იმჟამინდელი კახური დიალექტის ფონეტიკურ სურათზე საუბარი ჭირს (მხედველობაში გვაქვს ე, ჯ... ჰ- და ს- ზმნურ ფორმებში; ცალკეული ფონეტიკური პროცესები...); თუმცა ზოგი ფონეტიკური პროცესის დაფიქსირება აშკარად შესაძლებელია (ვა > ო: გაუშო, გამოართო, წაართო...).

2. დაუხსტებით შეიძლება საუბარი ცალკეულ მორფოლოგიურ თავისებურებებზე: თანდებულებისა და ზმნისწინების დიალექტურ ვარიანტებზე; სუბიექტური მესამე პირის გამოხატვის თავისებურებებზე; აწმყოს ფუძის წარმოების ვარიანტებზე; მწკრივთა წარმოების თავისებურებებზე, განსაკუთრებით – უწყვეტლისა და მისგან წარმოებულ მწკრივთა წარმოების საკითხებზე; მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვის საკითხებზე...

3. განსაკუთრებით ფასეულია „დოკუმენტების“ მონაცემები სწორედ მრავალგზისობის მორფოლოგიური კატეგორიის არსებობის თაობაზე კახურში: მთელი კახეთის ტერიტორიაზე მრავალგზისობა იმ დროისათვის ცოცხალი მორფოლოგიური კატეგორია ჩანს; ეს ჩვენება აბათილებს იმ აზრს, რომ კახურ დიალექტში XV-XVIII საუკუნეებში ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია გამქრალია, ნაშთის სახითღა შემონახული (ა. მარტიროსოვი)...

ამგვარად, აჯანყების „დოკუმენტების“ მონაცემთა ანალიზს გარკვეული კორექტივების შეტანა შეუძლია კახური დიალექტის შესწავლაში... შესაძლებელია დიალექტურ თავისებურებათა განვითარება



რების დინამიკის გათვალისწინება... მეტი ინფორმაციისა და სიზუსტისათვის სასურველად მიგვაჩნია ამ მასალების ლინგვისტური თვალსაზრისით უფრო სანდოდ გამოცემა...

## ქ ე თ ე ვ ა ნ   დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

### **ორთოგრაფიული და მორფოლოგიური შეცდომები ქართული ენის ზეპირმეტყველების ნიმუშებში**

ბუნებრივ ენათა შესწავლისას მნიშვნელოვანია როგორც წერილობითი ტექსტების, ისე ზეპირმეტყველების ნიმუშების ანალიზი. როგორც ცნობილია, წერილობითი (ბეჭდური) ტექსტები უმეტესად ნორმირებულია და სრულად ვერ ასახავს ენის თავისებურებებს. ზეპირმეტყველების კვლევა კი ამ თვალსაზრისით ბევრ განსხვავებულ ენობრივ ფაქტს წარმოაჩენს.

ფოლკსვაგენ შტიფთუნგის პროექტის – ქართული ენის ეროვნული კორპუსი – ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა – ფარგლებში გაანალიზდა თანამედროვე ქართული ენის ზეპირმეტყველების კონკრეტული სფერო: პოლიტიკოსების ზეპირმეტყველება. საანალიზო მასალას წარმოადგენს ტელეგადაცემების ჩანაწერები, რომლებიც გაშიფრულია და ჩაწერილია ელექტრონული ტექსტების სახით (ვორდის ფაილში). მონაცემები მოიცავს 22 დიალოგს – 541 გვერდს – 130194 სიტყვას. ჩვენ გავანალიზეთ ეს მასალა მორფოლოგიური და ორთოგრაფიული თვალსაზრისით.

პოლიტიკა ის სფეროა, რომელშიც უნდა გამოიყენებოდეს სალიტერატურო ენა. საინტერესოა, რა სახის დარღვევები გვხვდება აქ ენობრივი თვალსაზრისით. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ის შეცდომები, რომლებიც დადასტურდა საანალიზო მასალაში.

## ნიკა ბაძაღუა – აფხაზი და ქართველი პოეტი

2018 წელს გამოიცა აფხაზი და ქართველი პოეტის – ნიკა (ნიკოლოზ) ბაძაღუას ქართული ლექსების კრებული, რომელიც ძალზე საინტერესო ჩანს როგორც თემატიკის (ქართველთა და აფხაზთა ყოფა, წეს-ჩვეულებანი, ზნეობრივი კანონები...), ისე პოეტურ-სტილისტიკური მახასიათებლებისა თუ რითმულ-რიტმული სტრუქტურის თვალსაზრისით.

პოეტის შემოქმედების გაცნობის შემდეგ მკითხველი აუცილებლად გაიფიქრებს, რომ ნიკა ბაძაღუა და სხვა მისი მსგავსი ადამიანები (რომლებიც ცოტანი არ არიან) უთუოდ აღადგენენ ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილ ხიდს.

„სინანული ბღავის“ ნიკას პოეზიაში – ძველი მეგობრობისა და სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული სინანული – დაცრემლებული, დანაცრელებული:

„ბედი აღარ მოჩანს,  
დაბრუნების კვალიც,  
თვალეებს სწყდება წვეთი,  
სინანული ბღავის“.

თუმცა სიყმაწვილეში ერთად დარგული პალმის ოცნება ისევ ასულდგმულებს პოეტს და მაინც ელის ქართველებისა და აფხაზების ორხმიან ამღერებას – ლაღად, ძმურად, თანალმობით. ემოციას კიდევ უფრო აძლიერებს ორიგინალური სარიტმიო ერთეულები: **ვორიდა – ქორი და:**

„სიყმაწვილეში ერთად დარგული  
პალმის ოცნებას ქარი მოგვიტანს,  
კვლავ აჟღერდება სულ სხვა ჰანგური –  
ვორიდაი რი და და ვორიდა.“

ერცახუს მხრებზე დილა მოჯდება,  
მოჯდება, როგორც თეთრი ქორი და  
აღარასოდეს აღარ მორჩება  
ვორიდაი რი და და ვორიდა!“

ზოგჯერ რითმულ-რიტმული ქარგა პოეტურ ალიტერაციაზეა აგებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დანიშნულების სახელებითა თუ მყოფადი დროის საობიექტო მიმღობებით შექმნილი სარიტმო ერთეულები (შიდასალექსო თუ ბოლოკიდური), რომელთაგანაც ზოგი პოეტურ ოკაზიონალიზმად აღიქმება:

„გახსოვს, ზეცას **სახალისოს**  
შენს თვალებში შევხაროდი?!  
განწირული **სახვალისოდ** –  
**სადღეისოდ** შენ გკმარობდი!  
ფერმილეულს **სამაისოდ**  
ცისარტყელად შემპარვოდი...  
ახლა შიში **საზამთრისო**  
და ზამთარიც შენგან მოდის!“

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ნიკა ბაძაღუას პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილისტიკური თუ ენობრივი თავისებურებანი.

## რ უ ს უ და ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

### **ჩოლურული მეტყველების კვალიფიკაციის სპეციფიკა ისტორიული თვალსაზრისით**

სვანურ ენაში, როგორც ცნობილია, ოთხი დიალექტი გამოიყოფა (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური), რომლებიც ერთმანეთს, ძირითადად, ხმოვნის სიგრძით, უმლაუტითა და რედუქციით უპირისპირდება, ხოლო ჩოლურული გარდამავალ კილოდ ითვლება.

„ჩოლურული, ძირითადად, ლაშხურს განეკუთვნება ბგერითი შედგენილობითა და გრამატიკული წყობით. უმლაუტი ალბათ ლენტეხურის გავლენის შედეგია. აღსანიშნავია, რომ ლენტეხურთან ახლო მდებარე სოფლის – საყდრის (აგრეთვე, მუწდისა და ბუღემის)

ძველი თაობის მეტყველება უმთავრესად ლენტეხურს გასდევს, ახლისა კი – ლაშხურს. საყდრული მეტყველება შეჯვარებული გარდამავალი დიალექტის იშვიათ ერთეულს წარმოადგენს: ჩოლურული ახლო მომავალში შესწავლის ობიექტს შეადგენს“ (თოფურია).

ჩოლურულში გვაქვს როგორც უმლაუტი, ასევე ხმოვნის სიგრძე; იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება გრძელი უმლაუტიანი ფონემები [მწწკუი\* (უწინ, პირველად); ცწცი (კუნელი); ლწრტყ (ქამარი, სარტყელი); ლწში (თესლი); ცწწ (ცანა, ტოპ.); დწჟ (დევი) და ა. შ.], რასაც ვერ გამოიწვევდა ვერც ლაშხური და ვერც ლენტეხური დიალექტები.

აღ. ონიანმა თავის დროზე ჩოლურული ცალკე კილოდ გამოაცხადა და მართებულად შენიშნა მისი სხვაობა ქვემოსვანურ დიალექტებთან მიმართებით: „ჩოლურულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა... საკმაო მანძილით არის დაშორებული როგორც ლაშხურ, ისე განსაკუთრებით ლენტეხურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობისაგან...“ (ონიანი).

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ ლაშხური და ლენტეხური მეტყველების გავლენას ჩოლურულზე, მაგრამ, ვფიქრობთ, გადამწყვეტი როლი საანალიზო მეტყველების კვალიფიკაციის დროს უნდა მიენიჭოს უმლაუტიანი გრძელი ხმოვნების არსებობას, რაც განაპირობა ბალსზემო სვანების მიგრაციამ ჩოლურში ისტორიულ წარსულში. ბუნებრივია, ბალსზემოელებს თან გაჰყვათ თავიანთი ფონოლოგიური სისტემა.

ჩოლურში ფიქსირდება ბალსზემო სვანეთიდან ჩასახლებული შემდეგი გვარები: ავალიანი, ბაბლუანი, გასვიანი, დადვანი, ზურაბიანი, მარგველიანი, პირველი, ჟორჟოლიანი, რატიანი, ქურდიანი, ყიფიანი, ჩეგიანი, ჩოფლიანი, ხაჭვანი, ხვისტანი...

სვანეთის წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ეს გვარები ძირითადად ბალსზემო სვანეთის მკვიდრნი არიან. თუ რომელ პერიოდში მოხდა მოსახლეობის მიგრაცია, ეს შემდგომი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია. ამჯერად საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: სვანე-

---

\* ჩვენ მიერ მოპოვებული სხვადასხვა მასალა გადამოწმებულია ინტერნეტგვერდის წევრებთან (FB/ლუშნუ ნინ სვანური ენა <https://www.facebook.com/groups/176382082564432/>), რომელსაც 9000-მდე წევრი ჰყავს.

თის ისტორიულ ონომასტიკაში დადასტურებულია როგორც **ზურაბი**, **ზურამიანი**, ისე **ზურებიანი** და **ზურებ/მიანი**, თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში კი ზემო სვანები **ზურებიანს** იყენებენ, ხოლო ჩოლურლები – **ზურაბიანს**. რა ხდება? – ჩოლურის თემმა უფრო არქაული სახე შემოგვინახა, ბალსზემოური დიალექტი კი პალატალური უმლაუტის წესს დაემორჩილა? XVII საუკუნის ერთ დოკუმენტში, რომელიც ხერგიანების სისხლის განსაზღვრის წესს ეხება, ერთსა და იმავე ტექსტში გვხვდება როგორც **ზურაბი**, ისე **ზურებიანი** (სილოგავა)... და ეს სრულიად კანონზომიერი ფონოლოგიური მოვლენაა – ადრეულ სვანურ ენაში (ისევე, როგორც ძველ ქართულში) ანთროპონიმები სახელობით ბრუნვაში არანაირ მორფემას არ დაირთავდნენ, ამიტომაც, თავისთავად ცხადია, აუსლაუტში პალატალურ ხმოვანთაგან არც **-ი** გვექნებოდა და არც **-ე**, მაშასადამე, არც უმლაუტი მოხდებოდა (ჭუმბურიძე). რაც შეეხება საანალიზო ანთროპონიმიდან მომდინარე გვარს, მას **-ი** ხმოვნის შემცველი **-იან** მორფემა აწარმოებს, რომელიც მის წინამავალ ფუძისეულ **-ა-**ს **-ე-**დ გადააქცევდა.

## გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

### არნოლდ ჩიქობავა – მეცნიერების სწორუპოვარი მსახური

„ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი! – მძიმე ბიბლიური სიბრძნეა ამ სიტყვებში.

და მაინც: ადამიანი მიდის, საქმე-ნამოქმედარი რჩება. ტრადიცია შემდგომადობის გარეშე არ არსებობს“, – ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს – არნოლდ ჩიქობავას, ვისაც ქართველი ხალხის შესაძლებლობებისა და ქართველი ხალხის მომავლის უმაგალითო რწმენა ჰქონდა, ვინც მაღალი ინტელექტით განათებული ცხოვრების ყოველი წუთით თვითონაც კვებავდა და აბეგრებდა ამ რწმენას. ამგვარ კაცთა „ყოველი წუთი“ კი წუთიც არის და მარადისობაც.

შემდგომადობა მეცნიერებაში, კულტურაში ისევე აუცილებელია, როგორც ბუნებაში, აუცილებელია არა მარტო წინსვლისთვის, არამედ ჩამოთვლილ სფეროთა თვით არსებობისთვისაც.

„ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები ჩვენი ხვალისდელი დღეა, ჩვენი მომავალია, მათ ეკისრებათ გააგრძელონ და განავითარონ ყველაფერი ფასეული, რაც წინა თაობას შეუქმნია მეცნიერებაში. ცნობილია არა ერთი შემთხვევა, რომ ძლიერი სამეცნიერო კერა ჩაქრა, რაკი სამეცნიერო კვლევა-ძიების გამგრძელებელი არ აღმოაჩნდა“, – ეს მიმართვა ახალგაზრდობისადმი ახლა ანდერძად აღიქმება, რომელიც ყოველთვის შეგვახსენებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ვალს ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

თავდადებული ზრუნვა იმ მომავლისათვის, სადაც თვითონ უკვე ფიზიკურად აღარ ვიქნებით, აწმყოსაც სხვა შინაარსით ავსებს და მზრუნველსაც სხვა შუქით ასხივოსნებს. არნოლდ ჩიქობავას, როგორც პიროვნებასა და როგორც მეცნიერს, ეს სხივი ადგა ყოველთვის, მისი საქმიანობა მუდამ ამ ნათლით იყო მოსილი. ამიტომ სწვდებოდა იგი მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებითსა და მნიშვნელოვანს, მკვიდრსა და მარადიულს და არა – წარმავალსა და დღემოკლეს.

„მართალი საზოგადო მოღვაწეა და არა კონიუნქტურის კაცი!“, – ამბობდა იგი იაკობ გოგებაშვილზე, რომელიც ილია ჭავჭავაძის დარ მოღვაწედ ესახებოდა. ამ მოღვაწეთა ზნეობრივი ცხოვრება ნიმუშად ჰქონდა და კიდევაც ძაღედვა, თვალი გაესწორებინა მათთვის. მას შეეძლო ეთქვა: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“.

მაღალმა გონებამ, რომელიც ინტენსიურ აზროვნებაში მჭლავდებოდა, და ამ აზროვნების სინდისიერებამ შეუქმნა მსოფლიო სახელი ქართველ მეცნიერს.

„მეცნიერება ჭეშმარიტებას იძიებს, სიმართლეს იცავს და კულტურის პროგრესს, ხალხის კეთილდღეობას ემსახურება.

საპატიო საქმეა მეცნიერებაში მუშაობა, მაგრამ ამ მუშაობას დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს. სამეცნიერო მუშაობა ადამიანის მთელ შესაძლებლობას მოითხოვს. სამეცნიერო მუშაობა სასიცოცხლო საქმეს უნდა წარმოადგენდეს, თუ გვინდა მეცნიერებას ვემსახუროთ, და არა „მეცნიერებაში ვიმსახუროთ“. ამათ შორის დიდი ზღვარია“. არნოლდ ჩიქობავამ იცოდა და სხვებსაც ასწავლიდა, რომ

„ჭეშმარიტებას ვინც ეძებს, ჭეშმარიტების უკომპრომისო დამცველიც უნდა იყოს (კომპრომისი მეცნიერებასთან შეუთავსებელია)“; და ბოლოს: „მეცნიერი შეიძლება შეცდეს. ეს სამწუხარო იქნება, მაგრამ არ შეიძლება, შეუწყნარებელია, მეცნიერი ტყუოდეს. ეს სამარცხვინო იქნებოდა, ამით კავშირი მეცნიერებასთან სამუდამოდ გაწყდებოდა“.

მეცნიერების სწორუპოვარი მსახური არნოლდ ჩიქობავა მრავალ ცოდნას ფლობდა, მაგრამ ეს ცოდნა მისთვის იარაღი იყო და არა მიზანი, რადგან ბრძენკაცი ის კი არაა, ვინც ბევრი იცის, არამედ ის, ვისი ცოდნაც სასარგებლოა. მხოლოდ ამ რწმენის მეცნიერებას შეიძლება ერქვას პროგრესისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ გზისმკვლევე, ხოლო მის ქურუმს – მოქალაქე.

„დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თვითონ მოსაქმის დიდბუნებოვანობისა“, – გვასწავლიდა ილია. ისევე, როგორც მოსაქმე ირჩევს საქმეს, საქმეც მოსაქმეს ირჩევდა. ამიტომაც იყო მადლით ცხებული და ბედნიერი მათი შეხვედრა და ათმაგად ბედნიერი, რადგან არნოლდ ჩიქობავა ადვილად ივიწყებდა იმას, რაც უკვე გაეკეთებინა, გამუდმებით კი ფიქრობდა იმაზე, რაც უნდა გაეკეთებინა.

არნოლდ ჩიქობავას დაბადების 120 წლისთავს ეძღვნება ჩვენი სესია, კიდევ ერთხელ მოვიგონებთ ქართული ენის მოჭირნახულესა და დიდ ადამიანს.

## მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

### **ზოგი აბსტრაქტული სახელისა თუ მასდარის მრავლობითი რიცხვის ფორმებისათვის**

„საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განწყენებულად... საწყისი ბრუნვიანი სიტყვაა, მაგრამ მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს; ამიტომ იმისი თქმაც არ იქნება მართებული, თითქო მას მხოლოდითი გააჩნდეს, ანუ, საზოგადოდ, რიცხვი ჰქონდეს“, – აღნიშნავს აკაკი შანიძე; აბსტრაქტული სახელებისა თუ

მასდარების მრავლობითის ფორმებით გამოყენება ენობრივ დარღვევად მიიჩნევა (სროლები, გამორთვები, შუქები, სიხარულები...).

თანამედროვე ქართულში (რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში) ხშირად დასტურდება მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებული აბსტრაქტული სახელები თუ მასდარები: **აქტივობები** („არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური **აქტივობები**“, „იმისათვის, რომ წინანდალში ექსკურსია კიდევ უფრო სახალისო და შემეცნებითი გახდეს, გთავაზობთ საექსკურსიო **აქტივობების** მაგალითებს“), **გამოწვევები** („როგორ მუშაობენ და რა **გამოწვევების** წინაშე დგანან საქართველოში მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე, დაბალბიუჯეტური გამოცემები“, რა **გამოწვევების** წინაშე იმყოფება დღევანდელი ეკლესია და რამდენად სახიფათოა თანამედროვე წინააღმდეგობები), **მოლოდინები** („მაყურებლის ნაწილს სადღეისოდ სხვა **მოლოდინები** აქვს თანამედროვე ქართული კინოდან“, „კიდევ უფრო იზრდება ინვესტორთა ნდობა და კოზიტიური **მოლოდინები** ჩვენი ქვეყნის ბიზნესგარემოს მიმართ“)...

მოტივი მრავლობითის ფორმების ამგვარი ხმარებისა გასაგებია – მას მრავალგზისობის, მოქმედების მრავალჯერადი განმეორების, სიხშირე-რეგულარობის გამოხატვის სურვილი განაპირობებს. უნდა მივიჩნიოთ თუ არა ენობრივ დარღვევად **აქტივობები, გამოწვევები, მოლოდინები**.

ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები და სხვა ამ ტიპის ფორმები, რა თქმა უნდა, გაიმიჯნება სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინოლოგიური ფუნქციით გამოყენებული მრავლობითის ფორმებისაგან.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება როგორც ზემოთ აღნიშნული, ისე ტერმინებად მიჩნეული აბსტრაქტული სახელებისა თუ მასდარების მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენების შემთხვევები.



## ერთი შენიშვნა კავკასიის ალბანური პალიმფსესტების დათარიღებასთან დაკავშირებით\*

„ალბანური პალიმფსესტების“ ავტორების (ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, ჟ. პ. მაე) აზრით, სინას მთაზე ნაპოვნი კავკასიის ალბანური ხელნაწერები თარიღდება VII-X საუკუნეებით. აქ ზედა ზღვარს ქმნის პალიმფსესტების ზედა ფენა, ანუ ქართული ხელნაწერი, რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ქვედა ზღვარი უკავშირდება ალბანური ხელნაწერის ტექსტში ერთი მონეტის მოხსენიებას, რომელიც ამოკითხულია როგორც **\*მეზაიზუზნა** და, ვ. შულცეს აზრით, რომელსაც სხვა ავტორებიც იზიარებენ, იგი გადმოგვცემს ბიზანტიის იმპერატორის მეზეზიუსის სახელს.

ეს სიტყვა გვხვდება იოანეს სახარების ალბანურ ტექსტში და ახლავს მონაკვეთს, სადაც მახარებელი მოგვითხრობს მაცხოვრის მიერ ხუთი პურითა და ორი თევზით ხუთი ათასის სასწაულებრივი დაპურების ამბავს: „აღიხილნა თუალნი თჳსნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა. ჰრქუა ფილიპეს: ვინაჲ ვიყიდოთ პური, რადთა ჭამონ ამათ? ... ჰრქუა ფილიპე: ორასისა **დრაჰკნისა** პური ვერ კმა არს ამათა, რადთა კაცად-კაცადმან მცირედ რამე მიიღოს“ (ი. 6, 5-7).

სახარების ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას იხსენიება დინარი (δηνάριον), ხოლო ქართულსა და სომხურში – დრაჰმა (სომხ. დაჰკეან / ქართ. დრაჰკანი).

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვ. შულცეს მოსაზრებას – ვერ ვხედავთ რაიმე კავშირის შესაძლებლობას მეზეზიუსის სახელსა და კავკასიის ალბანეთში გავრცელებულ ფულად ერთეულებს შორის.

მეზეზიუსი (ლათ. Mezezius / Mecentius; ბერძ. Μεζεζιοϋς / Μιζεζιοϋς) იყო სომხური წარმომავლობის (სომხ. მჟეჟ, სავარაუდოდ, – გუნჯი-ს გვარიდან) ბიზანტიელი სარდალი, რომელიც 668 წლის სექტემბერში ბიზანტიის იმპერატორად გამოაცხადეს, თუმცა მისი

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № YS-2016-45, „კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი“).

მმართველობა სიცილიის კუნძულს ვერ გასცდა. იქაც მისი ხელმწიფება ხანმოკლე აღმოჩნდა – იგი დაახლოებით ნახევარ წელიწადში, 669 წლის აპრილში დამარცხდა ბიზანტიის „კონსტანტინოპოლელ“ იმპერატორ კონსტანტინე IV-სთან ბრძოლაში და მას თავი მოჰკვეთეს. მართალია, თავისი მმართველობის მცირე პერიოდში მან მოასწრო ოქროს სოლიდის მოჭრა თავისი გამოსახულებით, თუმცა ეს მონეტა არ არის ნაპოვნი არათუ კავკასიაში, არამედ ახლომახლო რეგიონებშიც კი.

თუ იოანეს სახარების ალბანურ ტექსტში ნახსენები მონეტის სახელწოდება არ უკავშირდება მეზეზიუსის სახელს, რა შეიძლება იყოს იგი? ამოკითხულ ალბანურ ფორმაში (**\*მეზაიზუნა**) პირველი ორი ასო-ბგერა (**მე-**) ჰიპოთეტურადაა აღდგენილი, მომდევნო ორიც (**-ზა-**) ცუდად იკითხება. ამრიგად, ჩვენ გვრჩება **-იზუნა** ფორმა, რომლის წაკითხვაც მეტ-ნაკლებად სანდოა. აქედან, **-ნა** დერივაციული აფიქსია. ვფიქრობთ, რომ იგი უკავშირდება ებრაულ **ზუზ** სახელწოდებას (ებრ. זוז), რომელიც გამოიყენებოდა ვერცხლის მონეტისა და ზოგჯერ – ზოგადად ფულის (**ზუზეი** – ებრ. זוזי) მნიშვნელობით.

ზუზი იხსენიება ელეფანტინურ პაპირუსებში, კამრანის ხელნაწერებში, მიშნასა და თალმუდში. ზუზი აღნიშნავდა ვერცხლის მონეტას, რომელიც იუდეაში იჭრებოდა რომაულ პერიოდში, კერძოდ, იმპერატორების – ვესპასიანეს, ტიტუსის, დომიციანეს, ტრაიანესა და ადრიანეს დროს და, იგი აგრეთვე, რომაული დინარისა და ბერძნული დრაქმის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. მისი ღირებულება შეკელის (= ტეტრადრაქმა)  $\frac{1}{4}$  იყო, რაც ზუსტად შეესაბამება დრაქმის ღირებულებას. ზუზის ბოლო ემისია II საუკუნეში განხორციელდა ბარ-კოხბას მიერ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბაბილონის თალმუდში ზუზი სასანიდურ დრაქმას აღნიშნავს, არადა ეს მონეტა ალბანეთსა და კავკასიის სხვა რეგიონებში III-VII საუკუნეებში გაბატონებული ფულის ერთეულია, რაც კავკასიაში აღმოჩენილი იმ პერიოდის ნუმიზმატიკური მასალიდან ცხადად ჩანს.

ზუზის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ებრაულ ენაზე **ზუზ** „სვლას“, „მოძრაობას“ აღნიშნავს და მონეტის სახელწოდება, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამ ლექსემისაგან მომდინარეობს, რაც თითქოსდა ფულის გადაცემას ხელიდან ხელში, მის მოძრაობას უკავშირდება. ზოგი მას ზევსის სა-

ხელს უკავშირებს, რომელიც გამოსახული იყო სელევიკიდების დრაქიმებსა და ტეტრადრაქიმებზე, ან – აკადურ **ზუზე**-ს (ერთგვარი წონის ერთეულია, აგრეთვე – „ნახევარი“, „ნაწილი“).

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სახლობენ მთიელი ებრაელები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მათი მოხვედრა კავკასიის ალბანეთში უნდა მომხდარიყო V საუკუნეში ირანიდან. 1990 წელს ბაქოში გათხრებისას აღმოჩენილ იქნა ებრაული კვარტლის ნაშთები და შაბრანის სინაგოგა, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. აქედან გამომდინარე, უცნაურად არ გვეჩვენება, რომ კავკასიის ალბანურ ენაში მოხვედრილიყო ებრაული ფულის ერთეულის სახელწოდება, რომელსაც ებრაელები ზოგადად ფულისა და სასანიდური დრაქიმის აღსანიშნავად გამოიყენებდნენ. კავკასიის ალბანურში ებრაული ენიდან სხვა ნასესხობებიც დასტურდება, მაგ., **კორბა** „მსხვერპლი“, საკუთარი სახელი **მუშე** „მოსე“, რომელიც ამ სახელის უშუალოდ ებრაულ-სირიულ ფორმას წარმოადგენს და არ არის შემოსული ბერძნულიდან, როგორც ეს არის ქართულსა და სომხურში.

ამრიგად, ამ მონეტის სახელწოდება არ გამოდგება როგორც ალბანური ხელნაწერის terminus post quem ან terminus a quo.

რ ო მ ა ნ    ლ ო ლ უ ა

## **საგრანტო პროექტი „კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი“\***

აღნიშნულმა საგრანტო პროექტმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების 2016 წლის საგრანტო კონკურსში. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ: ახალგაზრდა მეცნიერი (**რომან ლოლუა**), ახალგაზრდა მეცნიერის მენტორი (**ვაჟა შენგელია** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), კონსულტანტი (**ისა აბდუ-**

\* საგრანტო ხელშეკრულება № YS – 2016-45

**ლაევი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) და დამხმარე შემსრულებელი (**ლევან კელაურაძე** – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი).

პროექტის განხორციელება დაიწყო 2016 წლის დეკემბერში. საპროექტო ნაშრომზე მუშაობის საწყის ეტაპზე შედგა სრული ბიბლიოგრაფია, შესწავლილ იქნა საკითხის ისტორია, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდა აგრეთვე ისტორიული წყაროების ცნობებზე კავკასიის ალბანეთის, ალბანური ენისა და დამწერლობის შესახებ.

გაანალიზდა კავკასიის ალბანურ დამწერლობასთან დაკავშირებული საკითხები – განხორციელდა მისი პარადიგმატიკისა და გრაფიკული სტრუქტურის ანალიზი, დიდი ყურადღება დაეთმო კავკასიის ალბანური დამწერლობის გენეზისის პრობლემას.

პროექტის შესრულების ძირითადი ეტაპი დაიწყო კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის ანალიზით (ვოკალიზმი, კონსონანტიზმი, ფონეტიკური პროცესები).

წარმოჩნდა კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის საერთო სტრუქტურული ნიშნები და დაზუსტდა რეგულარული და კანონზომიერი ბგერათმესატყვისობანი უდიურსა და სხვა მონათესავე ენებთან.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება დაეთმო გრაფემატიკას – წარმოდგენილია კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის პროცედურა, ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეული ალბანური ასო-ბგერის ფონემურ ღირებულებას, კრიტიკულად გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ.

სამუშაო გაგრძელდა კავკასიის ალბანური ენის მორფოლოგიის ანალიზით; დეტალურად დამუშავდა სახელისა და ზმნის მორფოლოგია; განხორციელდა მორფოლოგიური კატეგორიებისა და სათანადო ინვენტარის შედარება უდიურსა და სხვა მონათესავე ენებთან საერთოს წარმოჩენის მიზნით. სახელებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიებს, ზმნაში – პირისა და კლასის კატეგორიებს; განხილულია ზმნის დერივაციული და ფლექსიური კატეგორიები, ნაზმნარი სახელი. უდეტრებიდან განსაკუთრებული ყურადღება ზმნისართს ექცევა, გაანალიზდა მისი

ყველა ჯგუფი როგორც აღწერთი, ისე შედარებითი თვალსაზრისით.

სინტაქსური საკითხებიდან საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა სინტაგმა და მისი ტიპები, სინტაგმის წევრთა განლაგების საკითხები, აგრეთვე – სინტაქსური კონსტრუქციები.

პროექტი ითვალისწინებდა ლექსიკის ანალიზსაც. წარმოჩენილია როგორც ძირეული, ისე ნახესხები ლექსიკა. გაანალიზდა ფუძეთქმნადობისა და სემენტაციის პრინციპებიც. აქვე წარმოდგენილია შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის ცდა გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

პროექტის განხორციელების შედეგად მივიღეთ სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც, ერთი მხრივ, დღეს არსებულ მონოგრაფიათა შორის ყველაზე ვრცელია, ხოლო, მეორე მხრივ, რიგი საკითხებისა მასში ახლებურადაა გაანალიზებული.

კვლევის შედეგად მიღებული მონოგრაფიული გამოკვლევა განთავსდება ინტერნეტში თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე ([www.ice.ge](http://www.ice.ge)). მომავალში ივარაუდება აღნიშნული მონოგრაფიის დაბეჭდვაც.

ქ ე თ ე ვ ა ნ   ი .   მ ა რ გ ი ა ნ ი

## **წყალთან დაკავშირებული ლექსიკა დალის ხეობის გეოგრაფიულ სახელებში (ახალი კოდორული მასალების მიხედვით)\***

2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდორელები 15-წლიანი საბრძოლო ოდისეის ამაოდ ჩავლისა და მშობლიური ხეობის დედასამშობლოსაგან დროებით მოკვეთის გამო დევნილის სტატუსით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმე-

---

\* პუბლიკაცია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „**კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში (ინტერდისციპლინური გამოკვლევა სვანურ-გერმანული ლექსიკონითურთ)**“ ფარგლებში.

რეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, ასევე – ევროპის ქვეყნებში... კოდორული მეტყველება საინტერესო სემანტიკა სვანურისა და, ზოგადად, ქართველური დიალექტოლოგიური სივრცისა; შესაბამისად, ჩვენ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე ვაწარმოებთ დალისხეობებთან მუშაობას ონომასტიკური და ეთნო-ლინგვისტური მასალების შეკრება-სისტემატიზაციის მიზნით.

როგორც ცნობილია, ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი არის ჰიდრონიმია; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული.

პუბლიკაციაში საანალიზოდ წარმოდგენილია „**კოდორულ ქრონიკებში**“ ასახული წყალთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და ჰიდრონიმები დალის ხეობისა; დალის სვანეთი მოიცავს მდინარე **კოდორის** ხუთი შენაკადის აუზებს. ეს შენაკადებია: **ამგარა, ყულუჩი, გვანდრალა, ხეცქვარა, საკნარა**. აღსანიშნავია, რომ ყოფილი მისიმიანეთის და დღევანდელი სვანეთის მხარეთა მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსა და იმავე **-რა** სუფიქსს შეიცავს: **გვანდ-რა, საკნა-რა, ამგა-რა, აჯა-რა, ხეც-ქვა-რა/ხე-წყვა-რა/ხე-ქვა-რა...** სვანეთიდან მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: **დოლ-რა, ნაკ-რა, კალ-რა, მელხუ-რა...** (მ. ქალდანი).

ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდა, რომ დალის ხეობის გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად გამოიყენება წყალთან დაკავშირებული შემდეგი სახის ლექსიკა და ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია: **ლიც/ნიც** „წყალი“, **ჰალა** „მდინარე“, **ტრმზ/ტრზ** „ტბა“, **მეჰ** „ტბა“, **ლიტრმზე** „დატბორვა, დაგუბება“, **ნაჰლაჟ** „ნამდინარევი“, **ტუბრა** „დეღე, ნაკადული“, **ტუბ** „ხევი“, **წედ** // **წედგლდარ** „მცირე დებეტის წყარო“, **მაზუბ** „წყარო“ (წყარო – უშუალოდ მიწიდან მოჩუხჩუხე, მიწიდან ამომავალი), **სარაგ/სარაგ** „წყარო“ (**მაზუბ**-ისაგან განსხვავებით, **სარაგ** არის წყარო, რომელიც მოედინება ღარის საშუალებით), **სგიმ** „მჟავე წყალი“, **ჰალაძა** „მდინარე“, **ლელჰენ** „დეღე, ნაკადული“, **ლექტერ** „წისკილი“, **ლეჰუბარა/ჰუბარ** „ჭაობი“, **მაჩხაგ** „ჩანჩქერი“, **დერა** „მყინვარი“, **ტოლ** „მყინვარი“, **ხანსარ** „მარადიული მყინვარი“, **რივენ** „ადიდებული მდინარე“, **მაყტელა** „მდორე მდინარე“, **ძულტა**

„ზღვა“, **ძულუწა** **პილ** „სანაპირო“, **ქაპ** „ზვავი“, **ნაქაპტ** „ნაზვავარი, ზვავის ჩამონაწოლი, ზვავგადავლილი ადგილი“, **ლატომბა** „წყალსაცავი“, **ნალქტერლიდ** „ნაწისქვილარი“, **ლილცერე** „რწყვა“, **ნალცნრტ** „ნარწყავი“, **ლატყუბნალ** „მდინარეთშესართავი“, **ლალცუზნალ** // **ლალცუზალარ** „სატივტივო, საცურაო“...

როგორც ცნობილია, ხეობების აღწერისას ვახუშტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წყლებსა და მათ აღწერას. გეოგრაფიული თუ ისტორიული მასალის დალაგებასაც ხეობისა და სოფლების მიხედვით აწარმოებს, რითაც ჰიდროგრაფიული ობიექტებისადმი ყურადღება კიდევ უფრო მეტად ჩანს. ტოპონიმიკურ ლიტერატურაში შენიშნულია ერთი მოვლენა, რომ ხეობისა და ხევის შინაარსი თითქმის იდენტურია, „მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირეა, ორივე კი წყალთან და საერთოდ ჰიდრონიმისთან არის დაკავშირებული“ (ნ. ოთინაშვილი). შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით დალის ხეობაში იხმარება **ტუბი** და **ტყუეფ**, უფრო ხშირად **ტუბი**, რაც ჰიდროგრაფიასთანაა დაკავშირებული; არა მხოლოდ ფუნქციურად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ – ეტიმოლოგიურადაც. **დალი** **ტუბი** – დალის ხეობა, **ხოშა ტუბი** „დიდი ხევი“ **ლექ** **ტუბი** „ადმოსავლეთის ხევი“, **ლექტუ ტუბი** „დასავლეთის ხევი“. **ტყუეფ** ს კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. მართალია, **დალი** **ტუბი** და **დალი** **ტყუეფ** – ორივე ითქმის დალის (კოდორის) ხეობის მნიშვნელობით, მაგრამ თუკი სემანტიკას ჩავუღრმავდებით, **ტყუეფ** აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, **ტუბის**//**ტვიბს** კი სწორედ – ჩალრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა.

„კოდორულ ქრონიკებში“ გვხვდება ტოპონიმები: **სარგ-ალ** < **სარაგ** „წყარო“, **ელსაბედი სარგილ** „ადგილის სახელია მთაში“, **ტობ-არ** < **ტობ/ტომბ** „ტბა“, **მეშხე ტუბიბრა** „შავი ღელე“, **წერნი ტუბიბრა** „წითელი ღელე, წითელი ნაკადული“, **იალცუნესგა** < **აშაპრუ-ლიც-ნესგა** „ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“, **ტუბიბრაშერ** „დასახლებული უბანი აჯარის და გენწვიშის საზღვარზე“, **ტუბიბრალარ** „ფერდობის, საზაფხულო იალალის სახელია ღვაღვაში“, **ტობოლარ** „ადგილის სახელია აჭაფარაში“, **ჩუბე ლახვან ხანსრალ** „შუამთის მყინვარები“, **აჭაფარ** **ტოლარ** „აჭაფარის მარად უდნობი მყინვარები“, **ხოშა დერა** „დიდი მყინვარი“, **ლალცუზალარ** „მდინარისპირა ადგილის სახელია კლუხო-

რის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე“, **ჩიჩხ-ულდ-არ** – სახელია კლდის ფერდობისა, სადაც შხეფებად მოდის ჩანჩქერი და მყინვარების ნადნობი წყალი, **აჭაფარაშ ჰალა** „აჭაფარის მდინარე“, **ჟიბე ლახვან დერაზ** „ზემო მთის მყინვარები“...

დალის ხეობის წყლის ცნების შემცველი გეოგრაფიული სახელები აგებულების მიხედვით, მსგავსად – ზოგადად, ტოპონიმებისა, შეიძლება იყოს – მარტივფუძიანი, კომპოზიტური, რთულფუძიანი, მარკირებული...მაწარმოებელთაგან ხშირად გამოიყენება კნინობითისა და მრავლობითის აფიქსები შესაბამისად ობიექტის სიდიდისა.

ქ ე თ ე ვ ა ნ გ . მ ა რ გ ი ა ნ ი

### **პერფექტულობა-ევიდენციალობის ურთიერთმიმართება ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით და სვანური ენის მონაცემები**

როგორც ცნობილია, სვანური ენა ქართველურ ენათა შორის გამოირჩევა არქაულობით და ხასიათდება ფონეტიკური თუ გრამატიკული მოვლენების სპეციფიკურობით. ამიტომაც მის მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-შედარებითი კვლევისას როგორც საკუთრივ ქართველური ენათმეცნიერების, ასევე ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

ერთ-ერთი პრობლემა, რომლის დიაქრონიაც დღემდე აქტუალური და სამსჯელოა საერთაშორისო ლინგვისტიკაში, ევიდენციალობის კატეგორიაა. ეს კატეგორია მსოფლიოს მრავალ ენაში მხოლოდ აღწერითია, ნაწილში – გრამატიკული. ქართველური ენები მეორე ჯგუფს მიეკუთვნება.

ზოგად ლინგვისტიკაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ პერფექტის ისტორიულ განვითარებას მიჰყავს იგი საკუთრივ პერფექტული (რეზულტატიური) მნიშვნელობის დაჩრდილვისაკენ (Bybee): შემდეგი სტადიაა პერფექტის გამოყენება თანმიმდევრულ მოქმედე-



ბათა გადმოსაცემად და შემდგომი შემოსაზღვრა (დავიწროება) ევიდენციალობა-არაევიდენციალობის კატეგორიით (Козинцева).

მიუხედავად იმისა, რომ უდამწერლობო ენებში კომპარატივისტიკა შეზღუდულია, ევიდენციალობის გრამატიკალიზაციის გზა ნათლად იხატება სვანური ზმნის ცოცხალ მასალაზე, განსაკუთრებით – I შედეგობითში, და ასახავს იმ უნივერსალიას, რომელიც თანახლავს ამ პროცესს საანალიზო კატეგორიის მქონე ენებში.

თუ ქართველურ ენათა ჯგუფის დანარჩენ ენებში აღნიშნული პროცესის მხოლოდ ბოლო ეტაპი ჩანს (რეზულტატიურობის დაჩრდილვა ევიდენციალურობის მიერ ან დისკურსში ერთი და იმავე ფორმების ორივე მნიშვნელობით გამოყენება: უშენებია=ნაშენები აქვს/თურმე ნაშენები აქვს), სვანური ენის მონაცემები ამ მხრივ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს:

ა) პირველი შედეგობითის უპრევერბო ფორმები თავიანთ თავდაპირველ ფუნქციას ინარჩუნებენ – პერფექტულობა+ექსპერიენცია (ხოგა „უშენებია=ნაშენები აქვს თუნდაც ერთხელ“);

ბ) ირიბი ევიდენციალობის (ამ შემთხვევაში ე. წ. „უნახაობის“ გამოსახატავად) საანალიზო ფორმებმა განვიითარეს მორფემა -ენ, რომლის დართვის შემთხვევაში უპრევერბო პირველი შედეგობითის ფორმათა სემანტიკის კომპონენტებია: ევიდენციალობა+პერფექტულობა+ექსპერიენცია (ხაგ-ენ-ა „უშენებია = თურმე აშენა/თურმე ნაშენები აქვს თუნდაც ერთხელ“), რომელთაგან უმთავრესია „უნახაობა“; ნახულ მოქმედებას ეს ზმნები, ქართულისგან განსხვავებით, ვერანაირ კონტექსტში ვერ გამოხატავენ.

გ) რაც შეეხება საანალიზო მწკრივის პრევერბიან ფორმებს, ისინი ენის განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპს განეკუთვნებიან; ამ დროისთვის, როგორც ჩანს, ევიდენციალობის სემანტიკა ადრეულ (უპრევერბო) ფორმებში უკვე გრამატიკალიზებულია (-ენ სუფიქსი), რეზულტატიურობა კი – დაჩრდილული. ამიტომაც ამ ზმნათა სემანტიკაში წამყვანია ევიდენციალურობა (უნახაობა), ხოლო ორი კომპონენტიდან ერთ-ერთი – ექსპერიენცია სრულებით იგნორირებულია (ოთგა „აუშენებია = თურმე ააშენა“).

ამრიგად, სვანური ენის I შედეგობითში ევიდენციალობის გრამატიკალიზაციის ყველა ეტაპის შესაბამისი ფორმა ცოცხალია და დიფერენცირებული თავდაპირველი, შუალედური და საბოლოო ფუნქციების მიხედვით. შესაბამისად, პარადიგმა თვალნათლივ

ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს პერფექტისა და ევიდენციალობის ურთიერთმიმართების შესახებ.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### **სვლა, სიარული, დენა...**

(სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები)

მოდრაობის აღმნიშვნელ ზმნათა სახელები ქართულში **სვლა**, **სიარული**, **დენა...** მრავალმხრივ საინტერესოა. ეს სიტყვები უძველესი ლექსიკური ფონდის საკუთრებაა და ამიტომაც რიგი მორფოლოგიურ-სემანტიკური თავისებურებებით ხასიათდება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზემოხსენებული სახელები ასეა განმარტებული:

**სვლა** (სვლისა) სახელი ვალს ზმნის მოქმედებისა: 1. იგივეა, რაც სიარული (მნიშვ. 1). მგზავრებს ბეჭებში მოძალებული ქარი სცემდა და სვლას უადვილებდა (**რ. გვეტ.**). [მხედრები] როცა ვიწროებს შეუდგნენ, ძლიერ გაჭირდა სწრაფად სვლა (**ვ. გამს.**). ჯორი... ისე მარდად მიაბიჯებდა, რომ მათი აჩქარებული სვლა ერთი წუთითაც არ შენელებულა (**ა. ხელ.**). 2. ტრანსპორტის ან სხვა საგნების მოძრაობა, გადაადგილება გარკვეული მიმართულებით. მატარებელი ნელა უმატებდა სვლას (**ა. ხელ.**). მანქანა სვლას ამალებს (**ვ. ჭიჭ.**). [ტალღა] მოდის ჯერ ნელა, მაგრამ თანდათან უმატებს სვლას (**ჰ. ლომთ.**). გავაყოლე თვალი ღრუბელთ სვლას (**ი. ევალ.**). 3. მიმდინარეობა, მსვლელობა (დროისა). დრო-კი თავისას არ მოშლის სვლასა და მდინარებასა (**ზაჩ.**). რაც-კი არსებობს... ნორჩი, ხნიერი – შენებრ ოდესმე ჟამთა სვლაში აღიგვებიან (**ს. შანშ.**). 4. მოთამაშის მიერ ფიგურის, კოჭის, ბანქოს და მისთ. მორიგი გადაადგილება რაიმე თამაშის დროს. შუა თამაშში გიორგამემ ძლიერი შეტევა განავითარა თეთრების მეფეზე და 43-ე სვლაზე მოიგო პარტია (**ახ. კომ.**).

**სიარულ**-ი (სიარულისა) 1. ნაბიჯების გადადგმით მოძრაობა, ადგილის გადანაცვლება (ადამიანისა, ცხოველისა), – სვლა. გზა სია-

რულმა დალია, სიპი ქვა – წყალთა დენამა (**ხალხ.**). სოფელს თავი დავანებე, ტყე-ტყე ვიწყე სიარული (**აკაკი**). ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული (**გ. ტაბ.**). 2. იგივეა, რაც სვლა (მნიშვ. 2). ექვსი დღის სიარული მოგინდება რკინის-გზით, რომ ევროპის დასავლეთ საზღვრამდის მიხვიდე (**ი. გოგებ.**).

**დენა** (დენისა) 1. სახელი დის ზმნის მოქმედებისა, – განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობა, მდინარება, დინება (სითხისა). გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა – წყლისა დენამა (**ხალხ.**). მომსურდა ია მისი ხეობის, ქართა ქროლვა და ნისლების დენა (**ანა**). რას არგებდათ ეს ტირილი, ეს უსარგებლო ცრემლთა დენა? (**ზ. კიკნ. თ. ჩხენც.**). შეუწყვეტელი მოძრაობა, სვლა (რომელიმე მიმართულებით). ნავახშმევს ხალხმა ნელა დაიწყო დენა დანიშნული ადგილისაკენ (**ლ. ქი-ახ.**). || საიდან არ დაიწყო დენა დახერხილი მასალის შესასყიდად დამრულმა და ხე-ტყეს დახარბებულმა გლეხკაცობამ (**გ. ციც.**). მეორე დღეს გალა-გალა იწყეს დენა ბავშვებმა (**დ. ფიროსმ.**). || მსვლელობა, მიმდინარეობა, დინება (დროისა და სხვ.). || [ელისბარმა] იგრძნო მოთხოვნილება იმ ქალის პოვნისა, რომელსაც უნდა შეუღლებოდა, რომ მათი ერთობა განგრძობილიყო მათს მოდგმაში და შექმნილიყო სამუდამო შემდეგ ჟამთა დენაში (**ვ. ბარნ.**). დღენი მოჰქროდნენ, შემთბარ ჰაერში ზამთარი უკვე არეს ტოვებდა, მაგრამ მას დღეთა დენა არ შეშლის, არც მოკლავს და არც აქცევს პოეტად (**ო. ჭელ.**). ფიგურ. სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭკნო ჟამთა დენამა (**სა-ბა**). გზა-კვალი [ნ. ბარათაშვილის] პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია (**ილია**). 2. სახელი ადენს, სდის ზმნათა მოქმედებისა. ოფლის დენა. – მელა დიდხანს ილოკავდა იარასა, ისვამდა ზედ ბალახსა და მიწას, რომ სისხლის დენა შეეწყვიტა (**ი. გოგებ.**).

აღნიშნულ სახელთა დიალექტური სახესხვაობანი, როგორებიცაა: **გარება**, **რონინი**, **ტატი** და მისთ. – აგრეთვე ქართველურ ენათა და ზოგი იბერიულ-კავკასიური ენის მონაცემები, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა, რომ აღნიშნული სემანტიკის სიტყვებში **ლ/რ/დ** ბგერათმონაცვლეობა დასაშვებად მივიჩნიოთ და საერთო იბერიულ-კავკასიურ ოდენობად დავსახოთ.

## **გლუტონიური კოდით შეპირობებული ხატოვანება**

სამყაროს ქართული ენობრივი სურათის სრულყოფილი აღწერისათვის აუცილებელია ყველა კულტურული კოდის (სომატური, სივრცული, დროითი, საგნობრივი, ბიომორფული...) შესწავლა. ეროვნული კულტურის თავისებურების გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვების სფეროს, რომელშიც უძველესი კულტურული კოდი – გლუტონიური კოდი – რეალიზდება.

გლუტონიური დისკურსი კომუნიკაციური პრაქტიკის ის სახეა, რომელშიც ინტენსიური და თვალსაჩინოა კულტურისა და ენის ურთიერთქმედება. კულტურული ინფორმაცია შენახულია გლუტონიმთა მნიშვნელობის როგორც დენოტაციურ, ასევე კონოტაციურ ასპექტში. ამდენად, კვებასთან, როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ყოველდღიურ ქმედებასთან, დაკავშირებული ენობრივი მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

ადინშნული ტიპის დისკურსის საანალიზოდ შემუშავებულ სქემებში გამოყოფენ „კვების“ სემანტიკურ ველში შემავალ სხვადასხვა ჯგუფს, ესენია:

- საკვები პროდუქტების სახელწოდებები (კვერცხი, ერბო, კართოფილი, ვაშლი და მისთ.);
- კერძების სახელები (ვინეგრეტი, ჩაქაფული; ჟულიენი და სხვ.);
- ჭურჭლის სახეობათა სახელები (იქნება ეს სამზარეულო ჭურჭელი, მაგალითად, ქვაბი, ტაფა, თუშფალანგი თუ სუფრის გასაწყობი, მაგალითად, თეფში, როზეტი, სირჩა, ფუჟერი და მისთ.);
- კერძების მომზადების პროცესთან დაკავშირებული ზმნური ლექსიკა (თუშავს, ხრაკავს, წვავს, ხარშავს, აცხობს...);
- ჭამა-სმასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქმედების მონაწილეთა სახელები (ყასაბი, ხაბაზი, მზარეული, კულინარი, დეგუსტატორი, სომელიე, მერიქიფე, ოფიციანტი და სხვ.);

- საკვებისა და სასმლის მიღების პროცესთან დაკავშირებული ქრონოტოპული ერთეულები (დროითი თვალსაზრისით სახელდებული ჭამა-სმა: საუზმე, ლანჩი (მეორე საუზმე), სადილი, სამხარი, ვახშამი; კვების ობიექტები: სახინკლე, სამწვადე, სალობიე, სასაუზმე, კაფე, ბისტრო, ბარი, რესტორანი და სხვ.);
- ტრაპეზის მიზნობრიობით აღბეჭდილი სახელები (ქელები / ადაპი, ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა, დღეობა და სხვ.);
- კულინარიული რეცეპტების ტექსტები;
- კულინარიული ტელემოუების საკომუნიკაციო სიტუაციათა თემები და სხვ.

როგორც ვხედავთ, კულტუროლოგთა სქემებში ცალკეული ჯგუფები ლექსემათა წმინდა კოგნიტიური მნიშვნელობებითაა შექმნილი, ჩვენი მიზანი კი გლუტონიმთა კონოტაციური ასპექტის განხილვაა. ყოველ ხალხს აქვს სპეციფიკური ხატოვან-ასოციაციური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც საწყის, ამოსავალ მნიშვნელობათა გადააზრება და მეორეულ ნომინაციათა გაჩენა ხდება. მოხსენებაში განვიხილავთ კვებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების ახალი მნიშვნელობის წარმომქმნელ პოტენციალს, მისი რეალიზების ორ მიმართულებას – გლუტონიმის მიერ ხატოვანი მნიშვნელობის შექმნასა (დომხალი – 1. დუღილით შესქელებული, გაწურული და მწვანილით შენელებული დო, 2. გადატ. არეულობა; ქაოსი; გაურკვეველობა) და მისი ფუძის გამოყენებით ნასახელარი ზმნების წარმოქმნას (**წიწმატი** – სპეციფიკური **ცხარე** გემოს მქონე მწვანილი; **გაწიწმატება**: **გააწიწმატებს**, **გაწიწმატდება**, **გაწიწმატებული** – **გაცხარება**, რომელიც, თავის მხრივ, გადატანით ნიშნავს გაბრაზებას), რასაც ასევე მნიშვნელობის ასოციაციურ-ხატოვანი ინტერპრეტაცია უდევს საფუძვლად.

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### **„ვიღაცა“ და „რალაცა“ ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმათა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში**

სალიტერატურო ენის მოქმედი ნორმების პერიოდულად გადახედვა-შემოწმების საჭიროებას განაპირობებს ენის ცვალებადი ბუნება. ამ ეტაპისათვის სალიტერატურო ენის ნორმებთან მიმართებით ენობრივი ტენდენციის გამოვლენის მიზნით შევეხებით „ვიღაცა“ და „რალაცა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმებს. როგორც ცნობილია, „ნორმების“ თანახმად ბრუნების შეხორცეული წარმოება მიჩნეულია ძირითადად, შეუხორცეელი და გარდამავალი კი – დასაშვებად (ნორმები). „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ „ვიღაცა“ და „რალაცა“ ნაცვალსახელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

**ვიღაცა** // **ვიღაც**: მოთხ. **ვიღაცამ** [// ვიღამაც], მიც. **ვიღაცას**, ვითარ. **ვიღაცად**, ნათ. **ვიღაცის** [// ვიღაცას], მოქ. **ვიღაცით** [// ვიღაცათი]; მრ. **ვიღაცები** (ქეოლი);

**რალაცა** // **რალაც**: მოთხ. **რალაცამ** [// რალამაც], მიც. **რალაცას** [// **რალასაც** // რასლაც], ვითარ. **რალაცად** [// რალადაც // რალდაც], ნათ. **რალაცის** [// რალაცასი // რისლაც], მოქ. **რალაცით** // **რალაცათი** [// რალათიც // რითლაც] (ქეოლი).

ორთოგრაფიული ლექსიკონი, როგორც ჩანს, გვთავაზობს ენაში იმ პერიოდისთვის მოქმედი ტენდენციის შესაბამისად დაზუსტებულ ფორმებს, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდება „ნორმების“ მონაცემებისგან.

ენობრივი მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზისთვის მივმართავთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და გუგლის საძიებო სისტემას. მოხსენებაში განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც დადგენილისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს.

მასალის სტატისტიკურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ „ვიღაცა“ და „რალაცა“ ნაცვალსახელების ბრუნვათა ფორმების გამოყენების სიხშირე თანამედროვე ქართულში უმთავრესად შეესაბამება „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებს, თუმცა გარკვეული საკითხები მაინც საჭიროებს

დაზუსტებას. კერძოდ, გამოვლინდა დასაშვებად მიჩნეული „ვიღამაც“, „რადამაც“, „რასღაც“, „რისღაც“, „რიღათიც“, „რიღათაც“, „რადღაც“ ფორმების სრულად უგულებელყოფის საჭიროება მათი გამოყენების ძალიან დიდი იშვიათობის გამო. ასევე – კვადრატულ-ფრჩხილებიანი პარალელური ვარიანტების ნაცვლად მრგვალ ფრჩხილებში პარალელურ ფორმებად უნდა იქნეს წარმოდგენილი „ვიღაცასი“ და „რადაცასი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში გამოყენების სიხშირით უპირატესობას იძენს არამართებული „ვიღაცეები“ და „რადაცეები“ ნორმატიული ვარიანტების – „ვიღაცებისა“ და „რადაცების“ – საპირისპიროდ, თუმცა ამ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემები ეწინააღმდეგება ენაში მოქმედ ფონეტიკურ თუ მორფოლოგიურ პრინციპებს.

## ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

### **ქართული ტერმინთბანკი**

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საგრძნობლად დაზარალდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის პროცესი. ტერმინოლოგიური მუშაობა სხვადასხვა ჯგუფის ხელში გადავიდა, რამაც, ცხადია, განაპირობა კიდევ ტერმინოლოგიური სიჭრელე თითქმის ყველა დარგში.

არსებული მდგომარეობიდან გამოსავლად ერთ ელექტრონულ ბაზაში ტერმინოლოგიური ლექსიკონების თავმოყრა და მასალის სრულად შესწავლა-განხილვა გვესახება.

ტერმინთბანკი მრავალ ქვეყანაშია შექმნილი. ევროპული გამოცდილების გაზიარება საშუალებას გვაძლევს, სწორად განვაფასოთ ქართული ტერმინთბანკი, რომლის საფუძველზე გაადვილდება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის ნორმატიული ლექსიკონების შექმნა.

რა პრინციპებით მუშავდება არსებული ქართული ტერმინოლოგია და როგორ უნდა გახდეს იგი საყრდენი თანამედროვე ლექსიკონების შესაქმნელად თუ გასაახლებლად.

ქართული ტერმინთბანკის პროგრამა და ფუნქციები შემდეგია:

- ა) საძიებო სიტყვის ველი;
- ბ) სინონიმის ველი;
- გ) სიტყვის განმარტება;
- დ) სიტყვის შედგენილობა;
- ე) სიტყვის წარმომავლობა;
- ვ) მაწარმოებლები;
- ზ) ბარბარიზმების ველი;
- თ) სიტყვის ფუძის/ძირის ველი;
- ი) დარგის ველი;
- კ) სპეციალისტთა შენიშვნების ველი;
- ლ) გამოუქვეყნებელი ტერმინოლოგიური მასალები;
- მ) სიტყვის შექმნის ისტორია;
- ნ) არასალიტერატურო ლექსიკის ველი;
- ო) ძველი ქართული მასალის ველი.

მასალა მუშავდება ზემოჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით. ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის ამ სახით შესწავლა-გაანალიზება საშუალებას მოგვცემს:

1. შევქმნათ ქართულ ტერმინთა სრული ელექტრონული ბაზა;
2. თავი მოვუყაროთ ტერმინთა შექმნა-შემოდების შესახებ არსებულ უცნობ მასალებს და, მაშასადამე, შევქმნათ ქართული ტერმინოლოგიის ისტორია და სწორედ მას დავაფუძნოთ თანამედროვე ნორმატიული ტერმინოლოგია.

ქართული ტერმინთბანკის შექმნაში ჯერჯერობით ოთხი უწყებაა ჩართული: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ვიმედოვნებთ, ჩვენი სახელმწიფო ევროპის



მრავალი ქვეყნის მსგავსად მხარს დაუჭერს ქართული ტერმინოლოგიის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს საქმეს – ქართული ტერმინთბანკის შექმნა-განვითარებას.

## მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

### **ქართული სიტყვის სემანტიკური დისკურსი**

(სინონიმურ წყვილთა ფუნქციური დიფერენცირებისათვის)

მდიდარ ქართულ სინონიმიაში აშკარად გამოცალკევდება ჯგუფი, რომელშიც თავს იყრის კონკრეტული სემანტიკურ-ტიპობრივი ნიშნით შეწყვილებული სინონიმები (**ძალა** და **ღონე**; **ცოდვა** და **ბრალი**; **ნიჭი** და **მადლი**; **მადლი** და **წყალობა**; **ნება** და **სურვილი**; **ამხანაგი** და **მეგობარი**; **ლამაზი** და **მშვენიერი**; **თავმოყვარეობა** და **თავის-მოყვარეობა...**).

საგანგებო ყურადღებას იქცევს ამ სინონიმურ წყვილთა ისტორიული ფუნქციური მადიფერენცირებელი მაჩვენებელი: ა) ხორციელისა და სულიერის, მიწიერისა და ზეციერის, საწუთისოფლოსა და საღვთოს ნიშანდობლივი გამთლიანება; ბ) ამის საფუძველზე ჩენილი თხზული სიტყვები – როგორც ერთგნებიანი (თავმოყვარე/ობა), ისე ორგნებიანი კომპოზიტები (ძალ-ღონე; ცოდვა-ბრალი; ნება-სურვილი...).

წარმოდგენილი დაკვირვების სარწმუნო მტკიცებულებას გვაწვდის როგორც ქართული კლასიკური მწერლობის (რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია...), ისე ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურის (პატრისტიკის, ეგზეგეტიკის, ჰომილეტიკის, კატეხიზმოს) შესაბამისი მონაცემები.

## ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### **ქართველურ ენათა ფონემათშესატყვისობებში გამოვლენილი ერთი შემთხვევის ახსნის ცდა**

დადგენილია, რომ ქართული ენის შიშინა სიბილანტებს მეგრულ-ლაზურსა და სვანურში თანხმოვანთკომპლექსები შეესატყვისება: ერთი მხრივ, სათანადო შიშინა თანხმოვანი + ველარული ხშული, ხოლო, მეორე მხრივ, სისინა თანხმოვანი + ველარული ხშული. უკანასკნელ შემთხვევაში მკვლევართა ერთ ნაწილს სისინა თანხმოვანი მიაჩნია ამოსავლად, მეორე ნაწილს – შიშინა (ე. ი. ქართულის ვითარება). თ. გამყრელიძის თვალსაზრისის თანახმად, ამოსავალმა **შ**-მ და **ჯ**-მ მოგვცა შესაბამისად **ს** და **ძ** მომდევნო ლაზიო-ველარიზებული არტიკულაციის მქონე **ჭ** / **გ** ბგერის დისიმილაციური გავლენით.

ბაგისმიერი **ჭ** / **გ** ბგერის გავლენა აღნიშნულ პროცესზე თვალსაჩინოა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს არა დისიმილაციასთან, არამედ – ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციასთან, კერძოდ, ბაგისმიერი ბგერის გავლენით არტიკულაციის წინ გადმოწევასთან, რის შედეგადაც უკანასიბილანტური რიგის თანხმოვნებისაგან მივიღეთ წინასიბილანტური რიგის თანხმოვნები.

## ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

### **კიდევ ერთხელ სვანური უმლაუტის შესახებ**

(იმულებითი კომენტარები)

საანალიზო ფონოლოგიურ-არტიკულაციური მოვლენის აღმნიშვნელ უამრავ ტერმინთაგან (წინა და უკანა მიმართულების, პალატალური, ლაზიალური და ველარული უმლაუტი; უმლაუტიანი / ნაუმლაუტარი / უმლაუტქმნილი / უმლაუტგანცდილი / უმლაუტიზირებული / პალატალიზებული ხმოვანი...) სვანური ენის სტრუქტურისათვის უპირატესობას ვანიჭებთ **პალატალიზაციას** (და

არა პ ა ლ ა ტ ა ლ უ რ ო ბ ა ს!) და **ველარიზაციას**, რადგანაც ისინი ყველაზე უკეთ გამოხატავენ მის არსს.

რაც შეეხება იმას, შეიძლებოდა თუ არა თურქულენოვანი სამყაროს გავლენით გაჩენილიყო უმლაუტი სვანურში (იხ. ტ. ფუტკარადისა და რ. თოფჩიშვილის ბოლოდროინდელ ნაშრომებში წარმოდგენილი მსჯელობანი), ამაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: რასაკვირველია, არა! ჰონები, ხაზარები, ყივჩაღები,... კავკასიაში გამოჩნდნენ ჩვ. წ. აღ.-ით მეხუთე საუკუნის შემდეგ, ხოლო სვანური ამ დროისათვის საერთოქართველურის დიალექტს აღარ წარმოადგენს, ცალკეულ მონათესავე ენებად პრაენის დიფერენცირება უკვე დიდი ხნის მომხდარია. უმლაუტი მოიცავს სვანურის მთელ სისტემას – როგორც ფორმაცვალებად, ისე ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებს. ეს მორფონოლოგიური პროცესი ვლინდება სახელისა თუ ზმნის თითქმის ყველა პარადიგმატულ ერთეულში და ამიტომ სრულიად წარმოუდგენელია მისი რომელიმე ენის გავლენით გაჩენა სვანურში! გარდა ამისა, თავად თურქოლოგები ვერ შეთანხმებულან იმაში, რა უწოდონ მათ საკვლევ ენებში მიმდინარე რეგრესული თუ პროგრესული ასიმილაციის შედეგებს: პალატალიზაცია, უმლაუტი თუ სინჰარმონიზმი. რაც შეეხება სავებს (და არა ს ა ვ ა რ ე ბ ს – რ. თოფჩიშვილი; -**წ** მრავლობითობის მორფემა სვანურში), ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად ოსებს (**საჭ-ა-წ**) კი უკავშირდება (მ. ქალდანი), მაგრამ აღნიშნავს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თურქული მოდგმის ხალხს (ბახსანელები, ჩეგემელები, ბალყარელები, ყარაჩაელები). მათთან კონტაქტებისა თუ ბრძოლების არაერთი ეპიზოდია გადმოცემული სვანურ ხალხურ სიმღერებში, რომელთა შესწავლა სწორედ ისტორიული თვალთახედვითაა აუცილებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ეტიმოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებებსა და სათანადო ლექსიკონების არქიფორმებში საერთოქართველური დონისთვის ზოგჯერ აღვადგენთ კიდევ როგორც პალატალიზებულსა და ველარიზებულს, ისე გრძელ ხმოვნებს, მაინც არც ისე ადვილია მათი ვარაუდი უძველეს ქრონოლოგიურ დონეზე, რადგანაც სრულიად არაა გასაკვირი, რომ როგორც ერთ, ისე მეორე ან მესამე შემთხვევაში საქმე გვქონდეს კომბინატორულ (და არა სპონტანურ!) ცვლილებებთან, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ **ლაშხურ დიალექტში უმლაუტი არასდროს ყოფილა** (ტ. ფუტკარადე „სვანური დიალექტებისთვის ამოსავალი ენობრივი

სისტემის ბგერითი შემადგენლობის შესახებ“, 2017). ა რ ც ე რ თ ი დ ი დ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი (ნ. მარი, ა. შანიძე, კ. დონდუა, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, თ. შარაძენიძე, მ. ქალდანი, ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე, მ. ქურდიანი) ა მ ფ ა ქ ტ ს ა რ მ ი ი ჩ ნ ე ვ და ს ა ე ჭ ვ ო დ. თუ თურქეთში (და არა **თურქეთის საქართველოში** – ტ. ფუტკარაძე, იქვე) მცხოვრებ ქართველთა (ყოფილ აჭარელთა, მესხთა, ჯავახთა, ლაზთა) მეტყველებაში, თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში, მხოლოდ ახლა იკიდებენ ფეხს პალატალიზებული ხმოვნები, რაღა სვანურ ენაში გაჩნდებოდა უმლაუტი თუნდაც ჩვენი წ. აღ.-ით VI საუკუნეში?! გარდა ამისა, ფუძეენიდან სვანურის დიფერენცირების გადმოტანა ძველი წელთაღრიცხვიდან ახალში (რ. თოფჩიშვილი, „ახალი თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ“, 2018) ასე ადვილია მხოლოდ ნასესხებ სიტყვებსა და უმლაუტზე მსჯელობით?! რა ვუყოთ სვანური სახელისა და ზმნის ურთულეს არქაულ პარადიგმათა სისტემას, რომელიც მხოლოდ ქართულ-ზანურ ენებთან უძველესი ერთობით აიხსნება – ესეც თურქულის გავლენას მივაწეროთ?! ამიტომაც ვერაფრით დავეთანხმებით ტ. ფუტკარაძეს (დასახ. ნაშრ.) იმაში, რომ „დღევანდელი სვანური კილოების მეტად განსხვავებულობა საერთოქართველური მოდელისგან შეპირობებულია არა სვანურის სიძველით, არამედ კავკასიონის კალთებზე სხვა იბერიულ-კავკასიურ, თურქულ და ალანურ ტომთა ხშირი მიგრაციებით... სვანური კილოებისთვის ამოსავალი ფონემატური სტრუქტურა დაცული აქვს ლაშხურს, რომელიც უფრო ახლოსაა საერთოქართველურთან, ვიდრე სხვა რომელიმე სვანური კილო“. ლაშხურ **დაუ** („დევი“), **დადალ** („უთესლო; დაკოდილი“) და მისთანა არაერთ ლექსემაში, ცხადია, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა ს თ ა ნ ა რ ა გ ვ ა ქ ვ ს ს ა - ქ მ ე!

ამასთანავე, დიდი ივანე ჯავახიშვილი ხომ დაბეჯითებით გახაზავდა: თანამედროვე სვანები დღეს იმ ენაზე უბნობენ, რომელზედაც ისტორიულ წარსულში ყველა ქართველური ტომი ლაპარაკობდაო.

მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს ლაშხური უმლაუტის საილუსტრაციოდ:

1. ლაშხეთისა და ჩოლურის საზღვარზე მდებარე სოფლის სახელწოდებას **ჭუქელფ** ნ. მარი **ჭრლფ**’იდან მომდინარედ მიიჩნევდა

(1917: V). მისი ეტიმოლოგიის გარკვევის მცდელობა ჰქონდა მ. სა-  
ლლიანს (2017), რომლის მიხედვითაც, ეს ტოპონიმი შესაძლოა უკავ-  
შირდებოდეს ქვემოსვანურ ლექსემას **ტელჭუფ** („მდელოს ნაჭერი  
მიწიანად“). რამდენადმე ძნელად დასაჯერებელია ამგვარი დაკავში-  
რება, მაგრამ, თუ ფონოლოგიურ გარდაქმნებს წარმოვიდგენთ გა-  
რკვეული თანამიმდევრობით (**ტელჭუფ** > \***ტელჭ** > **ჭტელფ**), მაშინ,  
ალბათ, რაღაც პოზიტივს მივიღებთ, თუმცა თანხმობანთა თავმოყ-  
რას სვანური ფონოტაქტიკა რომ გამორიცხავს? ლენტეხური მეტყვე-  
ლების გავრცელების არეალი სოფელ ჭველფიდან საკმაოდ შორსაა,  
ასე რომ, მის გავლენას ვერ მივაწერთ საანალიზო ფორმის უმლა-  
უტს.

2. უმლაუტის კვალი არამხოლოდ უძველეს ლაშხურ ტოპონი-  
მებში ჩანს, არამედ ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელ ძალზე არქა-  
ულ ლექსიკაშიც; ჩვენი ყურადღება მიიქცია ნაძვის თესლისა და  
ერთ-ერთი ბალახის სახელწოდებებმა (**ღუმურ-ი ჭტემ**, **დუნ ჭტემ**),  
რომელთა საზღვრული ისეთივე უძველესი სიტყვაა, როგორც  
ზხ./ქსვ. **ჭტემ** („penis“), დღემდე ლაშხურ დიალექტშიც რომ შემოგვე-  
ნახა ნაუმლაუტარი სახით (შდრ. ბქ. **ჯომ+ი/ე** > **ჭტემ** > **ჯემ** „ძირი, ბო-  
ლო“ და თუმ. **ჯომ-ი** „მაჯის, კოჭის ამობურცული ძვალი“ – ჰ. ფენრი-  
ხი).

3. **ჭტერ** („ყვავი“) სვანური ენის ყველა დიალექტში (ე. ი. ლაშ-  
ხურშიც) ნაუმლაუტარი ფუძეა; თუ მას აჭარულ **წორო-ს** – **წვივ-ა**ს  
(„ერთგვარი სოკო“, შდრ. **წორო** და **წერო-ს-წვივ-ა**, საბა) დავუკავში-  
რებთ, მაშინ სვანური ლექსემისთვის ამოსავალი იქნება **ჭორ** (< **წო-  
რო**).

ადრე (1974-1975) უმლაუტის კვალს ლაშხურში ე. გაზდელია-  
ნიც ეძებდა და, როგორც მახსოვს, საკმაოდ საინტერესო მასალაც  
ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი ნაშრომი რა-  
ტომღაც დღემდე არ გამოუქვეყნებია.

## **ზმნური ფორმები, როგორც პოეტური ფაქტი და ინდივიდუალიზმი ქეთევან დოლიძის პოეზიაში**

მხატვრული ენის ანალიზისას კონკრეტულად პოეტური და პრაქტიკული ენის მიმართების საკითხებს ოდითგან მძაფრი ინტერესი ახლდა და ამ თემატიკისადმი მიძღვნილი უამრავი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს (როგორც საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე ლინგვოპოეტიკური და ლინგვისტიკური...).

პოეზიის ლექსიკა და, საერთოდ, პოეტური ენა ესთეტიკური ფუნქციის პარალელურად სალიტერატურო ენის გამდიდრებას ემსახურება და პოეტური ფაქტი, როგორც ენობრივი ფაქტი, ინდივიდუალიზმიდან იწყებს აღმასვლას საყოველთაო დამკვიდრებისათვის; თუმცა ამ რიგის პოეტური ფაქტები (ენობრივი ფაქტები გვაქვს მხედველობაში) მოწოდებულია არა საყოველთაოობისათვის, არა პრაქტიკულ ენაში უპირობო დამკვიდრებისათვის, არამედ ესთეტიკურის, მშვენიერის, ამადლებულის განცდისათვის – პოეზიის უპირველესი დანიშნულების აღსასრულებლად: მკითხველი თუ მსმენელი აზიაროს მშვენიერებას.

მოხსენება ეხება თანამედროვეობის უაღრესად საინტერესო ქართველი პოეტის – ქეთევან დოლიძის ლირიკას: მხატვრული სტილის საერთო ფონზე განხილულია ინდივიდუალიზმად მიჩნეული ენობრივი და პოეტური ფაქტები, სახელდობრ **ზმნური ფორმები** პოეტის შემოქმედებაში. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ამგვარ „პოეტურ ზმნურ ფორმებს“ მისი შემოქმედებიდან (2016 წელს გამოცემული პოეტური კრებულის – „ზეცის სარკეში“ – მიხედვით): *ვიჭიროთ, მოიყამსკენლებს, მოინარეკლებს, ჩამოგირითმოს, გამოგვაქარვებს, ჩამოკემსო, ეტოლფასება, აეჩარავნე, აედარბაზე, ვილეღვო, შემოვიბანო, ჩავიკრიფე, აეგორგალე, ვესანთლე, მიფქვილა, ვიკშიე, მათოვლა, მასეტყვა, მაქარა, მამზევა, გამოიციოცხლებს, გადავიურვებთ, გამომასვენეს, მივაცრიცო, ჩამოეთოფა, ავეფურცლები, გაფურცლავს, ჩამოგისეტყვავ, მოვუდაფნო, მოგიურვო, მიქვითვირებს, გვაფარნე, გვაფხიზლე, ვიფონო, ვაბიბინო, ავებადაგე, გამოვფურცლე, გამოვიზლაპრე, ამოვიხაპე, ამძივდა, შემოვეთელე, გაეთე-*

ნება, შემოეცლა, შემომიცოტა, ამამთვარიეს, მოვინანიებს, იზამ-  
თრებს, ითოვლებს, ჩამოიწვიმებს, ჩამოიმძივებ, ვიყოზეფინებ, აუჩა-  
უქდა, მათოვდი, აგეზლაპრე, აგელანდე, მომინისლე, ჩამოგადნები,  
ამორძალება, მიგნაცრავენ, ჩავინაწნავე, გადავიძლავე, ავემღერები,  
მტყორცნეს, ვიხალიბე, ამოვეზელო, ამაწანწალო, აგექვითინე, ამო-  
მითბილე, აგემოცხარო, ავედენტები, გადამიწონო, ჩავენაცარე, ავე-  
წანწალო, ვიდიეზებ, ვიმაჟორებ, აგემთვარიელე, ჩამაზიარე, ავაქარ-  
ვასლებ, ამომელიტრა, ავეწონე, გადამმოვეს, ამომაცინე, ვიმზევებ,  
ვიწვიმებ, ამოგიშუშებ, ვიმარმარე, ვინალე, მთბილობდა, თივობდა,  
ავეზარდახში, გაასაამო, ამელულუნე, ავესახნისე, ავეჩუქურთმე, ავე-  
არშიები, აგელალები, იპატარძლეს, გვაკვნიტებს, იკვირტებს, აწამწა-  
მება, გადაითქორეს, ჩამოერიგა, დავმარტოხელდი, მიფონო, ავიწვე-  
რები, გავილამპარო, ვეწნები, ვიტრუნავ, გვარტომობს, მეთევა, ჩამო-  
მიბრძანა, ჩამომიცვარა, მოვწურო, გებრდღვიალება, მოგვიღვარცო-  
ფებს, მიგათოვე, დამეკოცნება, მცრემლავს, ავეჩხრიკები, ავეცეტები,  
მწიფობდა, წვიმობდა, ვიცხვარო, ავეყავილდე, ვიწყარო, მპენტა, გა-  
ვიკვირტები, ჩამოიცინა, მომინამეროს, გიმშობლეს, ვრითმე, გადა-  
მახიდე, ჩამოვესანთლე, დამიმძივე, წამიკითხე, გამოითვა.

ჩამოთვლილი „პოეტური ზმნური ფორმები“ მოხსენებაში გაა-  
ნალიზებულია კონტექსტთა თანახმად იდიოსტილის, სიტყვათქმნა-  
დობისა (მოდელირების) და შესაძლო ლექსიკოგრაფიული სტატუ-  
სის თვალსაზრისით.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### სვანურისებური „რომ“ კავშირის კვალისათვის ლაზურში

მოხსენებაში განხილული იქნება **-ერე-** ელემენტის რაობა ლა-  
ზურში, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ მყოფადის მაწარმოე-  
ბელ ერთ-ერთ მორფემად.

როგორც ცნობილია, **-ერე-**, რომელიც II კავშირებითის ფუძეს  
ერთვის, მხოლოდითის მესამე პირში შეიძლება გექონდეს **-ორენ** სა-  
ხითაც – ჭარას-ორენ, რაც ლაზურის მკვლევრებს აფიქრებინებდა,

რომ აქ თითქოს მყოფადი იწარმოებოდა მეშველი **ორენ** „არის“ ზმნის მეშვეობით, მაგრამ ამგვარი დაშვება ფაქტობრივად რეალურია მხოლოდ არქაბულისათვის, ვინაიდან ხოფურ კილოკავში, სადაც მყოფადი მინონ/გინონ/უნონ მეშველი ზმნის საშუალებით იწარმოება, **-ერე-** სუფიქსი თავად ამ ზმნისგან აწარმოებს უკვე თურმეობითის ნაკვეთებს: მ-ი-ნ-ტ-ერე-ნ „მნდომებია“ / მ-ი-ნ-ტ-ერე-ტ-ი / მ-ი-ნ-ტ-ერე-ტ-ა-ს...

ამიტომაც ჩვენთვის არ ჩანს მთლად დამაჯერებელი ახსნა, რომ **-ერე-** წარმოებისათვის ისტორიულად ამოსავალია **-ორენ** მეშველი ზმნის გაცვეთილი სახეობები.

საკითხის ჩვენული ხედვით, ლაზურ **-ერე-** სუფიქსს სხვა კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს. ვფიქრობთ, იგი სვანურისებური **ერე** „რომ“ კავშირის არსებობის კვალს წარმოაჩენს კოლხურში. ეს უკანასკნელი (**ერე**) ლაზურის აორისტისა და თურმეობითების ნაკვეთბშიდა შემოგვრჩა, ანუ თავის დროზე **-ერე-** სუფიქსი ისევე შეერწყა ლაზური ზმნის ფუძეს, როგორც **-კო** პირობითობის სუფიქსი, აშკარად მეორეული, სინთეზურიდან ორგანულ წარმოებად იქცა ათინურის ჩამლი-ჰემინურ და არტაშენულ ზმნათა მრავლობითის ფორმებში: კ-ჟარ-ი-კო-თ, ჟარ-ი-კო-თ ნაცვლად კ-ჟარ-ი-თ-კო-, ჟარ-ი-თ-კო სახეობები-სა – დანარჩენ ლაზურსა და მთლიანად მეგრულში.

## ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

### **-ო სუფიქსიანი II კავშირებითის პარალელური წარმოების შემთხვევები საშუალ ქართულში**

საშუალი ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილული ძეგლების ენობრივ მასალაში **-ო**-სუფიქსიანი II კავშირებითს, ჩვეულებრივ, **-ე** ბოლოსართიანი წყვეტილი შეესაბამება (დავიკარგო – დავიკარგე, აღადგინო – აღადგინე). ეს შესაბამისობა რეგულარულია.

აქვე გამოვლინდება პარალელური ფორმაწარმოების შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე ზმნის II კავშირებითს **-ო** სუფიქსის პარალელურად **-ა** ბოლოსართიც აწარმოებს (ვიუბნო – ვიუბნა, შევი-



პყრო – შევიპყრა, ვსცნო – ვსცნა, შეიმეცნოს – შეიმეცნას). ასეთ შემთხვევებში შესაბამისი წყვეტილის ფორმებთანაც დასტურდება პარალელური წარმოება (ვიუბნე – ვიუბენ<sup>თ</sup>, შევიპყრე – შევიპყარ<sup>თ</sup>, შევიმეცნე – შევიმეცენ<sup>თ</sup>).

პარალელური ფორმაწარმოების ფაქტები ერთსა და იმავე ავტორთანაც დასტურდება (არჩილი, სულხან-საბა). პარალელური ფორმების განაწილებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება, თუმცა პოეტურ ტექსტში რომელიმე ავტორის მიერ პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის არჩევანი შეიძლება ზოგჯერ სალექსო საზომითაც იყოს განპირობებული; ცხადია, იმავეს ვერ ვიტყვივით პროზაულ ტექსტზე. ზოგადად შეიძლება ის აღინიშნოს, რომ ამ ფაქტში აისახება ზმნურ ფორმაწარმოებაში მიმდინარე ყალიბთა მონაცვლეობის ტენდენცია.

## ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### ზოგი დიალექტური სიტყვის ისტორიისათვის

#### ჭყურტი

1. **ჭყურტი** (გურ.) «ადგილობრივი ენის უცოდინარი» (გ. შარამ.) – ქეგლი.

**ჭყირტი** თავდაუჭერელი, მოუთმინარი, ენის შემომბრუნებელი. *ჭყირტი* ბაღვია, თქმას არ დააცლის, იმსოლოლში შამოკრავს სიტყუას (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. **ჭყირტი** 1. „მეპასუხე მოუთმენარი“ (საბა). *ჭყირტად* და ამაყად მოუბარი ნახა (ამირან. 432, 30). 2. ავი, ცუდი. რა ესეთი *ჭყირტი* სიტყუა გაიგონა (ამირან. 150, 9).

ჭყირტი > ჭყურტი.

#### 2. ჯალაბი:

**ჯალაბი** (გურ.) ჯაბანი, გლახაკი. აბა სა[დ] ვიშოვე, შე *ჯალაბო*, მე ეს ჯვარი? (ჭ. ლომთ.) – ქეგლი.

**ჯალაბი** უზრდელი, უხეში. *ჯალაბი* კაცი არც ღმერთს უნდა და არც კაცსო, ასე გამიგონია, ბიძავ (ლანჩხ., გურ. ჯაჯ.). ვფიქრობთ,

ჯალაზი < ჯაზანი. **ჯაზანი** [არაბ. ჯაზან] 1. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი (ადამიანი). დასტურდება ძველსავე ქართულში. **ჯაზანი** ლაჩარი. *ჯაზანდრა* სახელ-ვსდვით (ძიებ. სულ. მაკერინ. 35v, 33-34b).

### 3. ლიფრი-ო

**ლიფრი** მლიქვნელი, პირფერი, მატყუარა. მაგრანი *ლიფრ* კაც დაეჯერება (ჯავახური, ზედგენიძე). შდრ. **ლირფი** საუბ. თავხედი, ურცხვი, უტიფარი. «ვერა ხედავთ ამ ლირფსა და აშარს?» (აკაკი). «უსირცხვილო, ლირფო!» – წყრომით მიუგო... მანდილოსანმა (ეკ. გაბ.). «მასხარად შენი თავი აიგდე, შე ლირფო!» (ა. ცაგარ.). || ასეთი ადამიანისა (შესახედაობა, ქცევა და სხვ.). *ლირფ* სახეზე კმაყოფილების ღიმილი არა შორდებოდა (ნ. ლომ.). **ლირფად** ზმნს. ურცხვად, უტიფრად. «რას ითხიჭებით?» შეუტია ქალებს [მართამ], – რძალი გამითახსირეთ და ხარხარებთ კიდევ ლირფად!?» (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

**ლიბრი** თავხედი; უტიფარი; ლირფი, ურცხვი, გლისპი (დ. ჩუბ). შდრ. ძვ. ქართ. **ლირბი** ურცხვი, უნამუსო, გლისპი: „ურცხვნოდ და ლირბი პირი, რომელი იტყოდის ღმრთისათვის სიცრუეცა, აღივსოს გინებითა (A, სბსტ., 132, 18). **ლირბი** სომხურია, თ ა ვ ვ ე დ ს ა, გინა უ რ ც ხ ვ ს ა ჰქვიან – საბა. ლირბი > ლირფი > ლიფრი.

4. **დონე** (ფშ.) დუნე. დონე კაცი. **დონედ** ზმნს. იხ. დუნედ. «მინდია ცრუობს სწორედა»... – ამბობდნენ ხალხში ზოგები გაუბედავად, *დონედა* (ვაჟა) – ქეგლი. შდრ. **დუნე** გაუჭიმავე, გინა სრულიად მოსუსტებული, უძალო – საბა. თავის მხრივ *დუნე* წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც სპარსული **დუნ, დუნი** (სპ.) უმნიშვნელო, არაფრის მაქნისი.

5. **ფოლორცი-ო** ძვ. და კუთხ. ქართლ. სახელგატეხილი, ზნედაცემული. რაზედ მომკალ არ-კეთილმან, *ფოლორცმან* და გარეცხილმან?! (ბესიკი). || ფლიდი, ფარისეველი, პირმოთნე. „ნინო, სიკო როგორ შეიყვარე?! ის ხომ გარყვნილია, ფლიდი, *ფოლორცი*“ (შ. არაგვ.) – ქეგლი.

**ფოლორცი / ფოლორცა** ფლიდი, ფარისეველი, ლაქუცა. „ვერ გამიგია, ამ წესიერ კაც ედ *ფოლორცი* ხალხი რაში ძჭირდება“ (გარეკახური, სახლთხუციშვილი).

იხ. აგრეთვე: **ფლორცნ** პირსფერი, ფარისეველურად მოყვარული (თუშური, ცოცანიძე). **ფოლოცი** ემოციურობა, ემოციების მოძალეზა,

ზედმეტად მგრძობიარობა, განმცდელი. „*ნუ ფოლოკობ*, *ნუ*, გაჩუმ-  
დი“, *ნემეტანი ფოლოგია*, ა, გეგონება რაცხა“ (საჩინოური ქართული,  
შარაშენიძე). შდრ. თურქული **ფოლიმცი** აფერისტი, მეტიჩარა.

## ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

### სიტყვა მთიების სემანტიკისათვის

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ გვამცნობს:  
**„მთიები** ესე არს აფროდიტი, რომელ არს ცისკრის ვარსკვლავი. **მთი-  
ები** ითქმის განმანათლებელად [გინა მათენებელად B]. **მთიები**, რო-  
მელი ესაიას წიგნში 14,12 წერილ არს, იგი არს მთავარი ეშმაკთა და  
აწ წმიდათათვის არს სახელი იგი და ადგილი მისი ზეცისა სასუფე-  
ველსა ZA... ესე **მთიები** არს აფროდიტი, რომელსა ცისკრის ვარ-  
სკვლავად სახელ-სდებენ... (+ **მთიები ზნელი** ეწოდების ეშმაკთ მთა-  
ვართა, – ესაიას 14, 12 CaB) CD...“ (სულხან-საბა 1991).

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედ-  
ვით **მთიები** არის: „მნათობი, lucifer, ferens auroram, „ნათელი“... :  
**„მთიები** გამობრწყინდეს გულთა თქუენთა“ II პეტრე 1, 19; **„მთიებ-  
მან** იცნა თვისი იგი წესი“ M, იობ. 38, 12; **„მთიებისა** წინა გვშევ შენ“ C,  
ფს. 109, 3. „ვითარ გარდამოვარდა ზეცით **მთიები** იგი“ I, ეს. 14, 12;  
„შენ აღმოაბრწყინეა **მთიები** ჟამსა მისსა?“ M, იობ. 38, 32; „მწნდეთ,  
ვითარცა **მთიებნი** სოფელსა შინა“ ფლპ. 2, 15... იხ. თევა“. **„თევა** თე-  
ნება: „ღამესა ათევედა ლოცვითა ღმრთისა მიმართ“ ლ. 6,12. იხ. გან-  
თევა, მთიები, ღამის-თევა“... (ილ. აბულაძე, 1973).

ცნობილია, რომ სიტყვა **მთიების** ეტიმოლოგია გარკვეულია  
და გაზიარებული საენათმეცნიერო წრეებში: აკაკი შანიძის მიხედ-  
ვით, **მთიები თე-ვა** (ა-თე-ვ-ს < \*ა-თე-ევ-ს) ზმნას უკავშირდება [თ-  
ძირსა და მისგან წარმოქმნილ სახელებთან დაკავშირებით არაერთი  
მკვლევრის თვალსაზრისია გამოთქმული: ი. ყიფშიძე, ივ. ჯავახიშ-  
ვილი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, თ. გა-  
მყრელიძე, რ. გორდეზიანი, კ. დანელია...]

ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია სიტყვა მთიების ძველი

ქართულის ლექსიკონებში არსებული ურთიერთგამომრიცხავი [კონტრასტული] მნიშვნელობები: ერთი მხრივ: ცისკრის ვარსკვლავი, განმანათლებელი, მოძღვარნი ეკლესიისანი... და, იმავდროულად, მეორე მხრივ: მთავარი ეშმაკთა, მთიები ბნელი... მაგრამ ეს – მხოლოდ, ერთი შეხედვით: ძველი ქართული ტექსტების **მთიები** – „ეშმაკთ მთავარი“ (სულხან-საბას თქმით, „**მთიები ბნელი**“) ბიბლიური ცოდნის შემცველია და რელიგიური აზროვნების კვალს წარმოადგენს [ეს ცოდნა უნივერსალურია, ის სამყაროს ყველა ხალხის ფოლკლორსა თუ მითოლოგიაშია ასახული ისევე, როგორც წარდენის ამბავი].

## ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### **ძეგლ- ფუძიან ტოპონიმთა სახელდებისათვის**

ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხის არაერთ ტოპონიმში ფიგურირებს სახელი **ძეგლი**. ესენია: 1. **ძეგლფი** – სოფელი არაგვსა და ქსანს შუა; 2. **ძეგლფი** – დაბა ონის მუნიციპალიტეტში; 3. **ძეგლი/ძეგლის მთა** – ნაეკლესიარი ადგილი, ბორცვი კლარჯეთში (თურქეთის რესპ.); 4. **სამეგლური** (<\*სამეგლური) – ადგილი ახალგორის ძეგლევთან; 5. **ძეგორა** (<\*ძეგლგორა<\*ძეგლიგორა<\*ძეგლის გორა.) – სერი გურიაში.

აღნიშნულ ტოპონიმთა სახელდების საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია ქართული ენის ისტორიულ ჭრილში სახელ **ძეგლ-**ის მრავალფეროვან მნიშვნელობათაგან უმთავრესის გამოკვეთა. ჩვენი დაკვირვებით, ესაა **აღმართული ქვის ნიში**, რომელიც ერთგვარი მატერიალური გამოხატულებაა ადამიანის მიერ უფლისა და საზოგადოების წინაშე „კავშირის შეკვრისა“ (შეთანხმება-ვალდებულება, ხსოვნა...). ამგვარი ნიშები მეცნიერებაში ცნობილია **სტელას, ქვაჯვარას**, გარკვეულწილად, **მონოლითის** სახელით.

მიგვაჩნია, რომ **ძეგლ-** ფუძიანი ტოპონიმები იმ ადგილთა უძველესი სახელებია, სადაც ქრისტიანობამდე მდებარეობდა **მთავარი საგვარეულო საკრალური ნიშები**, მოგვიანებით კი – ქრისტიანული

საკულტო ნაგებობები (ქვაჯვარა, ტაძარი). ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ყველა ამ ადგილას მდებარეობს (ან ისტორიულად მდებარეობდა) **წმინდა გიორგის** სახელობის ეკლესია.

## ან ა ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა

### **ტერმინოლოგიური მუშაობის ამსახველი გამოუქვეყნებელი ოქმები**

მეოცე საუკუნეში შეიქმნა ტექნიკური ტერმინოლოგიის რამდენიმე რედაქცია, ჩამოყალიბდა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ეკონომიკის, მათემატიკის და სხვა მრავალი დარგის ტერმინოლოგია ქართულად, გაიმართა ქართული სამეცნიერო ენა. ეს კი ამ საუკუნეში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა დამსახურებაა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ეპოქა თავისი სტანდარტებით დიდ გასაქანს არ ამლევდა ადამიანს და, შესაბამისად, კიდევ უფრო გასაკვირი და დასაფასებელია ქართველ მეცნიერთა თავდადებული შრომა ქართული ტერმინოლოგიის შესაქმნელად. საბჭოთა პერიოდის ქართული ტერმინოლოგიური სკოლის მუშაობის ისტორია ძირითადად მხოლოდ გამოუქვეყნებელ ოქმებშია შემონახული. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მას უნდა იცნობდეს თანამედროვე საზოგადოება. ქართულ ტერმინთბანკში, რომელიც საშუალებას გვაძლევს ქართული ტერმინოლოგიის ისტორია შევქმნათ, დაიწყო ამ გამოუქვეყნებელი მასალის ასახვა. შეუსწავლელი ისტორიის გაცნობამ ცხადყო მეცნიერთა მუშაობის პრინციპები და ამ საქმისადმი დამოკიდებულება. მოხსენებაში ვეცდებით წარმოვაჩინოთ სამეცნიერო საზოგადოების ის ერთსულოვნება, რომელმაც განსაზღვრა ქართული ტერმინოლოგიური სკოლის წარმატებული და შედეგიანი მუშაობა.

1941 წლიდან, როგორც ცნობილია, ერთ კვლევით ინსტიტუტში მოიყარა თავი მანამდე არსებულმა ტერმინოლოგიურმა კვლევებმა. თავისთავად ერთ უწყებაში ტერმინოლოგიური მუშაობის თავმოყრამ განსაზღვრა ამ დარგის სწორად განვითარება. მიუხედავად

სირთულეებისა, სწორედ საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართულ დარგობრივ ტერმინოლოგიას.

ტერმინოლოგიის განყოფილების დაარსების დღიდან დაიწერა ტერმინოლოგიური მუშაობის ერთადერთი სწორი მეთოდი. ტერმინების საბოლოო დადგენამდე აუცილებელი გახლდათ:

1) დარგის სპეციალისტთა და ტერმინოლოგთა ერთობლივი მუშაობა;

2) მნიშვნელოვან და სადავო ტერმინთა განხილვა გაფართოებულ სხდომებზე;

3) ტერმინების საბოლოოდ დასამტკიცებლად სახელმწიფო ენის კომისიაზე გატანა.

XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ტერმინოლოგიური მუშაობა შესანიშნავადაა ასახული ტერმინოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ სხდომათა ოქმებში, რომლებიც ხელნაწერი სახით ინახება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მოხსენებაში განვიხილავთ ჩვენ მიერ უკვე შესწავლილ ჩანაწერებს, ტერმინოლოგიური სხდომების ოქმებს, ტერმინოლოგიური საკითხების შესახებ გამომხატურებებსა და შეკითხვებს.

## ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

### **ბარბარიზმის ერთი სპეციფიკური შემთხვევისათვის თანამედროვე მეტყველებაში**

ბოლო 30 წელი იქნება, რაც ქართულში სისტემატურად და ქაოსურად შემოდის უცხო სიტყვები, ძირითადად – ინგლისური ენიდან. ამ ახალ ნასესხობებში რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს:

1. ფორმები, რომელთა ცნების გამომხატველი სიტყვებიც ქართულში მანამდე არ გვქონდა (*კომპიუტერი* და მისთ...);
2. სიტყვები, რომლებიც ცდილობენ ენიდან უმართებულოდ განდევნონ უკვე დამკვიდრებული ტერმინები (*თიმი*, *გუნდი* ფორმის ნაცვლად და მისთ...);

3. ადრე ნასესხები და ენაში „მწვანეშუქანთებული“ ფორმები, რომლებიც ახლა უმართებულოდ სულ სხვა ცნების გამოსახატავად იხმარება...

უკანასკნელი ტიპისაა უცხო ენიდან ადრეულ პერიოდში ნასესხები ფორმა „**ტენდენციური**“, რომელიც უკვე დამკვიდრებული („ცალმხრივი, მიკერძოებული“) შინაარსის ნაცვლად ახლა სულ სხვა ცნების („თანამედროვე, მოდური“...) გამოსახატავად იხმარება... იხმარება, რასაკვირველია, უმართებულოდ...

აღნიშნული ფორმა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მართებულად ხმარებისას ის ნეოლოგიზმია, ხოლო არასწორად გამოყენების შემთხვევაში – ბარბარიზმი.